სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 25 ივლისი 2005 №167 (2490) ფასი 50 თეთრი

ქართული ჰკა და ქართული ჰაკა

საქართველო 44:12 სერბეთი

გადაღე კეთილაძის ფოტო

საქმეს ფიფა გაარჩევს

ალენ ჟირესმა ძმაკაცებს გადაურეკა

ბურაბ დოლელიძეს ფოტო

...ვწუხვარ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან მაშინ გამათავისუფლეს, როცა ქართული ფეხბურთი უკვე კარგად შევისწავლე...

...ჩემდა გასაკვირად, ნოდარ ახალკაცმა ფეხბურთელთა სია გადმომცა და მომთხოვა, რომ ამ ფეხბურთელებს ყაზახეთის ნაკრებთან 17 აგვისტოს მატჩში ეთამაშათ...

...მოგვიანებით ახალკაცმა დამიბარა. ჩემი და ფედერაციის კონტრაქტის 3.1 მუხლის მოიშველია, დასახული მიზანი ვერ შეასრულე და ნაკრებიდან თავისუფალი ხარო, მითხრა...

...გეკითხებით, რომელი მწვრთნელი მოაწერდა ისეთ კონტრაქტს ხელს, სადაც იქნებოდა მოთხოვნა, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ეთამაშა...

...ადრე ჩემს საქმეებში არავინ ჩარეულა, ახლა კი... ეს ძალიან ცუდია. ვფიქრობ, სამწვრთნელო საქმეში ალენ ჟირესი უფრო კომპეტენტურია, ვიდრე ახალკაცი...

...ჩვენს დავას ფიფა გაარჩევს. ჩემი მეგობარი მიშელ პლატინი საქმის კურსიაშია. მას ტელეფონით ვესაუბრე, საფრანგეთში კი უფრო დაწვრილებით მოვუყვები ამ ამბავს...

მეორე გვერდი

რატომ მოხსნეს ჟირესი: კონტრაქტი ან პრინციპი

ახალკაცმა მწვრთნელობა შეითავსა?



ბადრი ჯეთელაძის ფოტო

— ვწუხვარ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან მაშინ გამათავისუფლეს, როცა ქართული ფეხბურთი უკვე კარგად შესწავლილი მქონდა. ეს ჩემი ბოლო პრესკონფერენციაა საქართველოში და ახლა გეტყვით ჩემი გათავისუფლების ნაღდ მიზეზებს.

— ნოდარ ახალკაცს ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შევხვდი და სამომავლო გეგმებზე საკმაო ხანს ვესაუბრე. ახალკაცისგან თანადგომა ვიგრძენი და შინ გავემგზავრე. როცა ჩამოვედი, პირველსავე შეხვედრაზე ისევ მომავლის გეგმებზე ვოქვით, მერე კი ახალკაცმა კიდევ მთხოვა შეხვედრა. ჩემდა გასაკვირად, მან ფეხბურთელთა სია გადმომცა და მომთხოვა, რომ ამ ფეხბურთელებს ყაზახეთის ნაკრებთან 17 აგვისტოს მატჩში ეთამაშათ. ისინი ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ მზად არიანო, არადა, ეს ფეხბურთელები 17-18 წლისანი არიან. ჩემთვის ახალკაცის მოთხოვნა მიუღებელი იყო. შემდეგ ახალკაცმა კიდევ დამიბარა და მითხრა, რომ ფედერაციას ჩემთვის ხელფასის გადახდის საშუალება არ აქვს. ჩემთვის ეს სრულიად გასაგები იყო და ფედერაციის პრეზიდენტს შევთავაზე, ფიფაში გაეგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ ფედერაციას ჩემთვის ხელფასის გადახდა აღარ შეეძლო. ახალკაცმა საპასუხოდ ერთობლივი წერილის გაგზავნა მთხოვა, რაზეც უარი ვუთხარი, არათანაბარ პირობებში ვართ-მეთქი. საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ ფიფას მომხდარის თაობაზე ცალკე ფედერაცია აცნობებდა, ცალკე მე. მოგვიანებით ახალკაცმა ერთხელაც დამიბარა. წერილზე უარი თქვა და ჩემი და ფედერაციის კონტრაქტის 3.1 მუხლის მოიშველია, დასახული მიზანი ვერ შეასრულე და ნაკრებიდან თავისუფალი ხარო, მითხრა. კონტრაქტში კი დაახლოებით ასე წერია: მწვრთნელის მომზადებულ ნაკრებს უნდა შეეძლოს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე თამაში. ჯერ ერთი, იქ არ წერია, რომ საქართველოს ნაკრებმა აუცილებლად უნდა ითამაშოს მსოფლიოს ჩემპიონატზე და მეორეც, ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი საქართველოს ნაკრებს კიდევ აქვს. გეკითხებით, რომელი მწვრთნელი მოაწერდა ისეთ კონტრაქტს ხელს, სადაც იქნებოდა მოთხოვნა, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ეთამაშა, მით უმეტეს, როცა ასეთ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით?! 3.1 მუხლში გარკვევით წერია ნაკრების მომზადებაზე და არა მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად თამაშზე.

— ახალკაცის მოწოდებულ სიაში 17-18 წლის ფეხბურთელთა გვარები ეწერა. ნაკრების გაახალგაზრდავების წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო. ახალკაცმა კი ამ საქმის დაწყება ყაზახეთთან მატჩით მოინდომა. აქ ორი უკიდურესობაა: 17 წლის ფეხბურთელმა ეროვნულ ნაკრებში პირველივე მატჩი რომ მოიგოს, შეესაძლოა მას ვარსკვლავური სენი შეეყაროს, წაგების შემთხვევაში კი თავდაჯერებულობა დაკარგოს, ფსიქოლოგიური პრობლემები იქნება, 17 წლის ბიჭის ფსიქიკა ხომ ჩამოყალიბებული არ არის.

— ადრე ჩემს საქმეებში არავინ ჩარეულა, ახლა კი... ეს ძალიან ცუდია. ვფიქრობ, სამწვრთნელო საქმეში ალენ ჟირესი უფრო კომპეტენტურია, ვიდრე ახალკაცი.

— თავიდან ახალკაცს ჩემი გათავისუფლება ფინანსური პრობლემების მოტივით სურდა, თუმცა შემდეგ კონტრაქტის 3.1 მუხლის დარღვევაზე შემომედავა. დეკემბრამდე უხელფასოდ მუშაობა ახალკაცს ჩემთვის არ შემოუთავაზებია და ეს ჩემთვის მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ შეხვედრისას ისიც კუთხარი, ფულის გადახდას არ გაჩქარებთ-მეთქი.

— საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის გუნდის მწვრთნელის მინიმალური ხელფასი 16 250 ევროა. ჩემთვის კი ფედერაციას გადასახდელი აქვს 80 ათასი დოლარი ძველი ვალი და 30 ათასიც იმ ხუთი თვის, რაც კონტრაქტის თანახმად დეკემბრამდე კიდევ მერგება. რა თქმა უნდა, ნაკრებიდან ჩემი გათავისუფლების საქმე ასე არ დამთავრდება. ჩვენს დავას ფიფა გაარჩევს. ჩემი მეგობარი მიშელ პლატინი საქმის კურსიაშია. მას ტელეფონით ვესაუბრე, საფრანგეთში კი უფრო დაწვრილებით მოვუყვები ამ ამბავს.

— საქართველოს ნაკრების წინსვლისთვის ალენ ჟირესმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა და არ ვნანობ აქ მუშაობას. ბოლომდე ჩაფლული ვიყავი ქართულ ფეხბურთში, სხვა არაფერი მაინტერესებდა, მოულოდნელად კი გამათავისუფლეს. გუნდის მომზადებისას შექმნილ პირობებზე არც ადრე მიწუწუნია და ამას არც ახლა ვაპირებ.

— გაიოზ დარსაძე? ეგ ვინ არის? კომენტარს არ გავაკეთებ... იცით, დარსაძეს შეუძლია, მადლობა მითხრას, უმუშევარი ეროვნულ ნაკრებში რომ დავასაქმე. არ ვიცი, მან თუ ჩემ წინააღმდეგ იმუშავა. ეროვნული გუნდის მწვრთნელად თუ დანიშნავენ, წარმატებას ვუსურვებ.

— ნაკრების ფეხბურთელებიდან ჯერჯერობით მხოლოდ გოჩა ჯამარაული დამიკავშირდა. ნაკრების მწვრთნელი აღარ ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართველ ფეხბურთელებთან ურთიერთობას გავწყვეტ, ზოგიერთთან მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და მათ დაკარგვას არ ვაპირებ. საქართველოში ტურისტად ჩამოვალ ხოლმე.

— ნაკრების ახალი მწვრთნელი უცხოელი თუ იქნება, აუცილებლად ვურჩევდი, ხინკალი და ხაჭაპური დააგემოვნოს... პროფესიული თვალსაზრისით კი ვეტყვი, რომ ქართულ ფეხბურთში უდიდესი პოტენციაა, რასაც სწორად გამოყენება უნდა.

ძოგა ინასარიძე

ფეხბურთის ფედერაციას საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ადრეც ბევრი გაუთავისუფლებია, ქართველებიც და უცხოელებიც, მაგრამ ეროვნული გუნდიდან ალენ ჟირესის დათხოვნას განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა. თუნდაც იმიტომ, რომ ფედერაცია-ჟირესის საქმეს ახლა ფიფა გაარჩევს და კიდევ, მწვრთნელმა ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი თავის საქმეში ჩარევაში დაადანაშაულა და შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ფრიად საგულისხმო განცხადება გააკეთა: „ნოდარ ახალკაცმა ფეხბურთელთა სია გადმომცა და მომთხოვა, რომ ამ ფეხბურთელებს 17 აგვისტოს ყაზახეთის ნაკრებთან მატჩში ეთამაშათ“. ალენ ჟირესს სიაში ჩამოთვლილ ფეხბურთელთა გვარები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ რაც თქვა, ვფიქრობთ, ესაც საკმარისია განგაშის ასატეხად, მით უმეტეს, გავითვალისწინოთ წინა დღის პრესკონფერენციაზე თავად ნოდარ ახალკაცის სიტყვებიც: „ნაკრების შემადგენლობის დადგენას და ფეხბურთელების გამოძახებას მთავარი მწვრთნელი არ სჭირდება.“ გამოდის, მწვრთნელიცა და პრეზიდენტიც ახალკაცი ყოფილა და მას ნაკრებისთვის მწვრთნელი მართლაც არ სჭირდება, ან თუ სჭირდება, მის დაკრულზე მოცეკვავე, რაც ალენ ჟირესმა და, როგორც გავიგეთ, ახალგაზრდულის აწ ყოფილმა თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამაც იუკადრისეს. დასკვნები თქვენზე იყოს. ახლა კი ალენ ჟირესის პრესკონფერენცია...

geo_geo_fan@hotmail.com

ქართულ ფეხბურთში წინა კვირას ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — ეროვნული გუნდის მწვრთნელობიდან დაითხოვეს ფრანგი ალენ ჟირესი. ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის თქმით, ჟირესმა კონტრაქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ვერ შეასრულა, ანუ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მიღმა დარჩაო. მისივე აზრით, ნაკრების შემადგენლობის დასახელებას მთავარი მწვრთნელი არც სჭირდება.

თავის მხრივ, ალენ ჟირესი ფედერაციის პრეზიდენტს მწვრთნელის კომპეტენციაში უხეშად ჩარევაში ადანაშაულებს. ამბობს, ახალკაცმა ყაზახეთთან მისთვის სასურველი ფეხბურთელების თამაში მომთხოვაო.

მოკლედ, ალენ ჟირესი ნაკრებიდან გაათავისუფლეს, ის კი სათქმელს ფიფაშიც იტყვის და ფეხბურთის ფედერაციას კონტრაქტით კუთვნილ ხელფასს მოსთხოვს. ქართულ ფეხბურთში მორიგი სკანდალი მწიფდება და, რა თქმა უნდა, ამ ამბავზე ქომაგის აზრი ერთობ საინტერესოა. ჰოდა, ტრადიციულად, მოგვწერეთ ამ მისამართზე...

geo_geo_fan@hotmail.com

შოთას და ზურას ამხანაგურები

გასულ უქმეებზე შოთა არველაძის „ალკმაარმა“ და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსმა“ ამხანაგური მატჩები ითამაშეს — ორივე ჩვენებურმა წარმატებით გაართვა თავი საქმეს.

რეინჯერსელებმა „ბროქსზე“ ბუნდესლიგის „მონხენგლადბახი“ ისტუმრეს და ნულოვან ფრეს გამორჩნენ. ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა და, როგორც „რეინჯერსის“ ვებ-გვერდი იუწყება, საკმაოდ საიმედოდაც.

არველაძის „ალკმაარი“ კი ჰოლანდიის მეორე დივიზიონის „ჯოუ ეჰედ იგლზს“ ეთამაშა და 3:2 მოუგო. შოთამ მხოლოდ პირველი 45 წუთი დაჰყო მოედანზე და ორი გოლი გაიტანა.

ნიკა ჯორჯაძე

ფეხბურთელის საქმე ფეხბურთის თამაშია, მაგრამ საქართველოს ეროვნული ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე გამოდის და მწვრთნელიც სათანადო სჭირდება. ალენ ჟირესი საქართველოს უპირველეს გუნდს ჩამოაშორეს და გუნდს ალბათ რომელიმე ქართველ მწვრთნელს ჩააბარებენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა კიდეც, არც ფედერაცია და არც ქართული ფეხბურთი მზად არ არიან ისეთი დონის სპეციალისტის მოსაწვევად, როგორიც, მაგალითად, ოტო რეჰაგელიაო. რას ფიქრობენ ამის შესახებ ნაკრების ფეხბურთელები? თვლიან თუ არა ისინი საკუთარ თავს ისეთ მოთამაშეებად, რეჰაგელის რანგის სპეციალისტის ღირსნი რომ არ არიან? იქნებ, ნაკრებში მათაც ქართველი მწვრთნელი ურჩევნიათ?

ვისთვის როგორ
ჩვენ მწვრთნელი გვინდა!

მალხაზ ასათიანი

— ჩემი გადასაწყვეტი არაა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ქართველი უნდა იყოს თუ უცხოელი. ამას ფედერაცია გადაწყვეტს, მე კი ფეხბურთელი ვარ და ჩემი საქმე მაქვს — ვინც იქნება ნაკრების მწვრთნელი, იმასთან უნდა ვიმუშაო. ეს არის და ეს.

— კი მაგრამ, შენი ნება რომ იყოს, გეგულება საქართველოში ისეთი მწვრთნელი, ვინც სანაკრებო დონეს აკმაყოფილებს?

— ვერაფერს გეტყვი. უკვე ვოქვი, რომ ეს ჩემი საქმე არ არის.



ზურაბ ხიზანიშვილი

— თუ ქართული ფეხბურთი რეჰაგელის დონის სპეციალისტისთვის მზად არ არის, ბოსკამპი და ჟირესი ხომ გვყავდა?! მთავარია, მწვრთნელს მუშაობა აცალონ და ერთი ჩავარდნის გამო არ დაითხოვონ, თორემ მწვრთნელის ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. ისე, საქართველოში გამოთქმაც არის, ნოდარ ახალკაცის მერე მწვრთნელი არ გვყოლიაო. რაც შეეხება რეჰაგელს, ზუსტად ვერ გავიგე, ვინ არ არის მისი რანგის სპეციალისტისთვის მზად: თუ ამაში საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს გულისხმობენ, ასეთ შეხედულებას არ ვეთანხმები.



ლადო ბურდული

— ღმერთმა ქნას, ისეთი ქართველი სპეციალისტი გამოჩნდეს, ვინც ფინალურ ეტაპზე გაგვიყვანს, ისეთი მწვრთნელი, ვისაც შესაძლოა, ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ.

შოთა არველაძე

— თუ ჟირესი გაუშვეს, მასზე უკეთესი უნდა მოვიყვანოთ, ჟირესი ჩვენთვის პროგრესული ვარიანტი იყო. მასზე უკეთეს ქართველ მწვრთნელს კი მე არ ვიცნობ.

ჩვენი მეგობარი ჩვენთან
გიორგი დემეტრაძე ვლადიკავკაზში ჩავიდა

გუშინ გიორგი დემეტრაძე ვლადიკავკაზში ჩავიდა და „ალანიასთან“ კონტრაქტსაც მალე გააფორმებს — ჯერჯერობით არც საკონტრაქტო თანხა სახელდება და არც ხანგრძლივობა, თუმც დონბასელებსა და ალანიელებს შორის მოლაპარაკება უკვე დასრულებულია.

როგორც იცით, „დემეს“ ოსეთში გადასვლაზე ლაპარაკი რამდენიმე დღის წინ დაიწყო. მას შემდეგ ყოველდღე ახალ-ახალი ცნობები ვრცელდებოდა და ისიც კი ითქვა, შესაძლოა, ქართველი თავდამსხმელი ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ ან ესპანეთის პრიმერადივიზიონის რომელიმე კლუბში გადავიდესო.

გიორგიმ მიმდინარე უკრაინული სეზონი გოლებით დაიწყო, პირველივე ტურში დუბლი „მიართვა“ „სტალს“, გუშინწინ კი, როგორც ჩანს, გამოსათხოვარი მატჩი ჩაატარა დონეცკის „მეტალურგში“ მარიუპოლის „ილიჩევეცის“ წინააღმდეგ.

სხვათა შორის, „მეტალურგის“ თავკაცმა ალექსანდრ სევიდოვმა თქვა, „დემეს“ გარეშე ძალიან გაგვიჭირდება და ახლა ერთის მაგივრად ორი ფორვარდის დამატება მოგვიწევსო: „ფეხბურთელებს მწვრთნელი არ ყიდულობს, ხოლო კლუბის ხელმძღვანელობა რას ფიქრობს, არ ვიცი. გიორგი „მეტალურგის“ ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი იყო, ასეთი მწირი კონტინგენტით კი მაღალ შედეგებს ვერ მივაღწევთ“.

მოკლედ, 28 წლის ფორვარდს ვლადიკავკაზში ექვსი ქართველი დახვდება: დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა, ვიტალი დარასელია, ლევან გვაზავა, გიორგი შაშიაშვილი და ლადო ბურდული.

„დემეს“ კონკურენტები კი გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე სპარტაკ გოგნიევი და კრისტიან ტუდორი იქნებიან, თუმცა „კონკურენტები“ ცოტა ნამეტანია — არა გვგონია, გიორგის ძირითადში მოხვედრა პრობლემად ექცეს.

შეგახსენებთ, დემეტრაძეს აღრეც უთამაშია „ალანიაში“ და 1999 წელს რუსეთის საუკეთესო ბომბარდირიც გამხდარა.

ილია ნანობაშვილი

ბრონდბიუ თბილისში კარმშრალი მოდის



მიქაელ ლაუდრუპი

დანიური „ბრონდბიუ“ თბილისში კარგ ხასიათზე ჩამოდის. კოპენჰაგენელებმა ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ტურშიც იმარჯვეს და კვლავ გოლგაუშვებლად: მიქაელ ლაუდრუპის გუნდმა შინ „სილკებორგს“ კასპერ ლორენტსენის 33-ე და მორტენ სკუბოს 90-ე წუთებზე გატანილი გოლებით 2:0 მოუგო. სკუბოს კი დანიის სუპერლიგის ორ მატჩში სამი გოლი მოუგროვდა და ბომბარდირებში ლიდერობს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ გუშინწინ ლაუდრუპს დანიის 2004-05 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადასცეს. „სილკებორგთან“ თბილისის „დინამოს“ მეტოქემ თითქმის ისეთივე შემადგენლობით ითამაშა, როგორითაც წინა ტურში „მიდტიულანდთან“: *ანკერგრენი, ნილსენი, იოჰანსენი, აგერი, სენელსი, ლანცი, რეტოვი (დაუგაარდი 65), მადს იორგენსენი, ლორენტსენი (რიტერი 79), ელმანდერი (კრისტენსენი 66), სკუბო.*

„დინამო“ — „ბრონდიუს“ საჩემპიონთალიგო შეხვედრა ხვალ 20 საათზე დაიწყება ეროვნულ სტადიონზე. ბილეთის ფასი 3-7 ლარია. სტუმრები კი დღეს ჩამოვლენ თბილისში. მატჩს უნგრელი მსაჯები გაუძღვებიან: მთავარი არბიტრი ზოლტ საბო იქნება, გვერდითები კი რობერტ კიშპალი და ზოლტან ტომპოში.

ილია ნანობაშვილი

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

დღეს 16 საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე გამართავს პრესკონფერენციას. ბაზაზევე 17 საათზე გაიცემა „დინამო“ — „ბრონდბიუს“ მატჩზე დასასწრები აკრედიტაციები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს კონკურსს

შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

იურიდიული განყოფილების უფროსი;
იურისტი;
საფინანსო განყოფილების უფროსი;
კომერციული განყოფილების უფროსი;
შესყიდვების მენეჯერი;
ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ განყოფილების უფროსი;
სამოყვარულო ფეხბურთის ინსტრუქტორი;
ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების ინსტრუქტორი;
საკლუბო ლიცენზირების განყოფილების უფროსი;
საკლუბო ლიცენზირების განყოფილების მენეჯერი;

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ავტობიოგრაფია (CV) 2005 წლის 29 ივლისის 18 საათამდე უნდა წარმოადგინონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 76 ა, ან ფაქსით შემდეგ ნომერზე 00-11-28, ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: **gff@gff.ge**
კონკურსანტთა შერჩევა მოხდება გასაუბრებით. გასაუბრების დროისა და ადგილის შესახებ კონკურსანტებს ეცნობებათ დამატებით.
თქვენთვის საინტერესო ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 91-26-80

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია



ბადრი ჯანელიძის ფოტო

ხუთი დღეც და, საქართველოს მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, რის მიმართაც ინტერესი განსაკუთრებულად დიდია — უმაღლესი ლიგა ათიდან თექვსმეტ გუნდამდე გაიზარდა.

იმედია, უმაღლეს ლიგაში რამდენიმე ახალი საინტერესო გუნდი გამოჩნდება და საამისო პერსპექტივა თბილისის „ამერსაც“ აქვს, პირველ რიგში მისი ინფრასტრუქტურით.

რა როგორ იქნება, ამას დამდეგი ჩემპიონატი გამოაჩენს, მანამდე კი „სარბიელის“ კითხვებს „ამერის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე პასუხობს...

გიორგი ჩიხრაძე: არ ვიმალებით, მაგრამ უნდა გაგვიფროთ

— რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი გუნდის სეზონისწინა დაკომპლექტებით? ყველა ის ფეხბურთელია თქვენს განკარგულებაში, რომელიც გჭირდებოდათ?

— გარკვეული პრობლემები შეგვექმნა, ორ ისეთ ფეხბურთელთან მოგვიწია განშორებამ, ვისი იმედიც გვქონდა — ძმებ ზვიად და გიზო ჯელაძეების გუნდიდან წასვლა ჩვენთვის ძალიან მოულოდნელი იყო — მათ კონფლიქტი მოუვიდათ გუნდის ერთ-ერთ ფეხბურთელთან და თვითონ გადაწყვიტეს „ამერიდან“ წასვლა. ჩვენი სატრანსფერო საქმიანობა არ შეწყვეტილა, მაგრამ, როცა ახალი ფეხბურთელების მოწვევა აუცილებელი გახდა, უკვე ცოტა დრო გვქონდა, უმაღლესი ლიგის გუნდები თითქმის ბოლომდე დაკომპლექტებულნი იყვნენ ახალი სეზონისთვის. დავიმატეთ მცველი გიორგი კვახაძე „ვიტ ჯორჯიადან“ და ალეკო კოშკაძე „ტორპედოდან“ — იმედი მაქვს, ისინი „ამერს“ გამოადგებიან. „ამერის“ მეორე გუნდიდან გადმოვიყვანეთ ნახევარმცველი დენის დობროვოლსკი, მას დაცვაშიც შეუძლია თამაში. დობროვოლსკიმ წინა სეზონში რეგიონული ლიგის მატჩებში კარგად წარმოაჩინა თავი.

— „ამერის“ ხუთმა ჩვიდმეტწლიანმა ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი ახალგაზრდულ ფესტივალზე იტალიაში, საიდანაც ოქროს მედლებით დაბრუნდნენ, თუმც, თუ წინა სეზონს გადავავლებთ თვალს, ისინი მაინცდამაინც არ მოიაზრებიან „ამერის“ ძირითად შემადგენლობაში...

— გადაჭრით შემიძლია იმის თქმა, რომ ნებისმიერ მათგანს რეალური შანსი აქვს, დამკვიდრდეს „ამერის“ ძირითადში, რადგან გუნდში არის პოზიციები, გაძლიერებას რომ საჭიროებს.

— ერთ-ერთი მათგანი რატი წინამძღვრიშვილია, რომელმაც იტალიაში ყველა მატჩში გაიტანა გოლი. დამდეგ სეზონში „ამერი“ თავდასხმაში წინამძღვრიშვილ-დავითაშვილის წყვილზე გააკეთებს აქცენტს?

— სავსებით შესაძლებელია, რომ ასე მოხდეს.

— ზოგს მიაჩნია, რომ ახალგაზრდულ ფესტივალზე გამარჯვებულმა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ზოგიერთმა ფეხბურთელმა ეროვნულ ნაკრებშიც უნდა ითამაშოს, მათ შორის რამდენიმე ამერელმაც...

— კარგია, თუ „ამერის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ასე ფიქრობენ, მაგრამ ეს ბიჭები რომ ეროვნულ ნაკრებში ათამაშო და კონკრეტული მიზანი დაუსახო, ამისთვის ჯერ მზად არ არიან, თუმც, თუ მათ ეროვნულ ნაკრებში შანსს მისცემენ, ამაში საგანგაშო არაფერია.

— უმაღლესი ლიგის გუნდების დაკომპლექტება, ფაქტობრივად, დასრულდა — ძალთა ასეთი ბალანსის მიხედვით, რისი შანსი აქვს „ამერს“ მეჩვიდმეტე ეროვნულში?

— ყურადღებით ვადევნებდით და კვლავაც ვადევნებთ თვალყურს სხვა გუნდებში განხორციელებულ ტრანსფერებს. ვფიქრობ, მაღალი მიზნებისთვის „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ბორჯომი“ და „ვიტ ჯორჯია“ იბრძოლებენ, ხოლო „ამერი“ შეეცდება, ამ გუნდებს იოლი ცხოვრების საშუალება არ მისცეს. კლუბის ხელმძღვანელობას ამ სეზონში ჩვენთვის კონკრეტული ამოცანა არ დაუსახავს, „ამერი“ რაც შეიძლება მაღალი ადგილისთვის იბრძოლებს.

— „ამერი“ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ — ასეთ შემთხვევაში რა შანსი აქვს თქვენს გუნდს?

— „ამერი“ თავისი შემადგენლობით მზად არის, რომ „დინამოს“ მოედანზე არაფერი დაუთმოს.

— რა კონცეფციის, რა სტილის ფეხბურთს ითამაშებს „ამერი“ დამდეგ სეზონში?

— ზოგადად, სწრაფს და შემტევს, კონკრეტულად კი მეტოქეებმა გაგვშიფრონ — დასამალი არაფერი გვაქვს, მაგრამ რაღაც-რაღაცები ჩვენთვის უნდა დავიტოვოთ და მოწინააღმდეგეს საფიქრალი მივცეთ.

— ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად ალბათ თქვენც „დინამოს“ მიიჩნევთ...

— ჩემპიონობის საუკეთესო შანსი მართლაც „დინამოს“ აქვს.

— რას ელით ფორმატშეცვლილ, თექვსმეტ გუნდამდე გაზრდილი ჩემპიონატისგან?

— ქართულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა და ჩვენ ნელ-ნელა, მაგრამ წინ წავალთ. უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდით ჩემპიონატში ქვეყნის უფრო მეტი რეგიონი ჩაებმება, უფრო მეტ ახალგაზრდა ფეხბურთელს მოუწევს თამაში, მაგრამ ბევრი რამ მატერიალურ-ეკონომიკურ პირობებზეც იქნება დამოკიდებული. მოკლედ, ყველაფერს ჩემპიონატი დაგვანახებს, თუმც არიან ისეთი გუნდებიც, უსახსრობის გამო ნორმალურად რომ ვერ მოემზადნენ სეზონისთვის. ამ ჩემპიონატში ალბათ ოთხი-ხუთი გუნდი იბრძოლებს მაღალი მიზნებისთვის, დანარჩენები თითქმის ერთი დონისანი იქნებიან.

— ინფრასტრუქტურა, პირობები და ახალი ფეხბურთელები ერთია, მაგრამ „ამერს“ საუმაღლესლიგოდ ალბათ კიდევ სჭირდება უაღრესად აუცილებელი რამ...

— გულშემატკივრის ყოლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უმაღლეს ლიგაში გადავედით და სტადიონის ტრიბუნა 250 სკამიდან 900-მდე გავზარდეთ, რადგან ამ ეტაპზე ტრიბუნის რეკონსტრუქცია მეტის საშუალებას არ გვაძლევდა. „ამერის“ სტრუქტურა იხვეწება და გულშემატკივართა კლუბიც უკვე შექმნილია, ჩვენი ფან-კლუბის წევრებს გარკვეული პრივილეგიები ექნებათ და იმედი გვაქვს, რომ უმაღლეს ლიგაში უფრო მეტი ქომაგი გვეყოლება.

დავით თავართქილაძე

კასპი გორითვიწა

ცემენტი უკვე არის

გორის „დილას“ ინკოგნიტო სპონსორებგან ერთ-ერთმა ანონიმურ გუშინ გავიგეთ — გუნდს კასპის ცემენტის ქარხანა დაეხმარება ტანსაცმელი ისიც, რომ შესაძლოა, გორელებმა ამ ქარხნის სპონსორობა მიიღონ ბაზეც კი დაიწერონ, თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით განსჯის საგანია.

გუშინ „დილას“ პრეზიდენტ არჩილ ბეგიაშვილს რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა:

— ჩემპიონატის დაწყებამდე სპონსორებზე ვერაფერს გეტყვით. ასე რომ, თუ მაგ საკითხზე გინდათ ინფორმაციის მიღება, აზრი არა აქვს.

— ვიცით, რომ კასპის ცემენტის ქარხანამ გამოთქვა თქვენი დახმარების სურვილი. ეს თუ არის მართალი?

— კი, ამას ვადასტურებ.

ბაბა შალამბერიძე

ვინ ვინ იქნება სიონში?

ხვიჩა ქასრაშვილი უმაღლესში ოლიმპით მივა

ბოლნისის „სიონი“ შარშანდელზე კარგი გუნდი იქნება — შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, ეს უდავოა. ქვემოქართლელებმა საკმაოდ კარგ კონტინგენტს მოუყარეს თავი და არგავარდნაზე ბოლნისში უკვე არავინ ლაპარაკობს, ოცნებებში საპრიზო ადგილებისკენაც კი იყურებიან. ხვიჩა ქასრაშვილის გუნდმა 22 ივლისს მოილია გრიგოლეთის შეკრება და საუმაღლესლიგოდ ბოლნისში აგრძელებს ვარჯიშს. დანარჩენს კი თავად ქასრაშვილისგან გავიგებთ...

— ვიცით, რომ დღეს კლუბის ხელმძღვანელებთან გქონდათ შეხვედრა. კერძოდ, რაზე ისაუბრეთ?

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გია აბაზაძეს შევხვდით. იგი კლუბის ხელმძღანელობაშია, მაგრამ კონკრეტულად რა პოსტი უკავია, ვერ გეტყვით. გრიგოლეთის შეკრებაზე ვისაუბრეთ. შევაჯამეთ ყველაფერი და მოსამზადებელი ციკლით კმაყოფილები ვართ. სწორედ გრიგოლეთში ვივარჯიშეთ სრულფასოვნად, თორემ იქამდე თბილისში ფეხბურთელების გასინჯვას მოვუნდით.

— „სიონში“ ფინანსური მდგომარეობა მოგვარებულია?

— დიახ. გამგებლისგან ყურადღება არ გვაკლია. რაც გვჭირდება, ყველაფერს გვისრულებს. სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ ხელმძღვანელები ხვალ ჩამოვლენ მოსკოვიდან და ამ დღეებში გადაწყდება, ვის რა თანამდებობა ექნება კლუბში. ჯერჯერობით კი დამტკიცებული არაფერია.

— ბოლოხანს ახალი ფეხბურთელები ხომ არ შეგიმატებიათ?

— რაც გრიგოლეთიდან ჩამოვედით, არა. ისე კი, ორი მცველი შევიმატეთ — „ზესტაფონიდან“ თენგიზ ჩიკვილაძე და ქუთაისის „ტორპედოდან“ ლევან მერებაშვილი. ორივე კარგი ფეხბურთელია და მათი იმედი გვაქვს.

— ტრანსფერების დახურვამდე ჯერ კიდევ დროა და რომელი რგოლის გაძლიერებას აპირებთ?

— როგორ გითხრათ, რაც უფრო კარგი შემადგენლობა გყავს, მით უკეთესია, მაგრამ დღეს „სიონის“ ყველა სათამაშო რგოლი თანაბრადაა დაკომპლექტებული. ამ დღეებში თუ ვინმეს დავიმატებთ, ვერ გეტყვით.

— ჩემპიონატის დაწყებამდე ამხანაგურ მატჩს კიდევ გეგმავთ?

— 27 ივლისს პირველი ლიგის „ოლიმპს“ ვეთამაშებით ბოლნისში, მერე კი პირველი ტურის თამაში გველის „ლოკომოტივთან“.

— რა მიზნები ექნება „სიონს“ ამ სეზონში?

— შორეულ გეგმებზე ლაპარაკი არ ყოფილა და აზრიც არა აქვს. ეგ ვიცით, რომ თითოეულ თამაშს სერიოზულად მივუდგებით. თანაც, მეც და რამდენიმე ფეხბურთელიც ექვსი თვით ვართ „სიონში“ და მერე რა მოხდება, დრო გვიჩვენებს.

ილია ნანოგაშვილი

ბუბა დოლიძეგაბაშვილის ფოტო



რობერტო მანჩინიმ ინგლისის მაგივრად გუნდი ბოლცანოში ათამაშა

ინტერმა ტერორისტები გაახარა

მილანის „ინტერმა“ ინგლისური ტურნე გააუქმა. „ნეროაძურის“ 24-31 ივლისს „პორტსმუთთან“ „ლესტერთან“, „ნორვიჩთან“ და „კრისტალ პალასთან“ ამხანაგური მატჩები უნდა გაემართა, მაგრამ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ბოლო დროს გახშირებული ტერორისტული აქტებით შეშინებულმა იტალიელებმა გეგმები შეცვალეს

„ჩემი აზრით, ეს ძალიან ცუდი გადაწყვეტილებაა და ტერორისტების თამაშის წესების მიღებას ნიშნავს. მათ სწორედ ჩვენი ცხოვრებისა და გეგმების შეცვლა უნდათ. დარწმუნებული ვარ, „ინტერის“ გადაწყვეტილება ძალიან გაუხარდათ. არადა, მილანელები შინ ან სადმე სხვაგან უფრო დაცულები არ იქნებიან, ეს აბსურდია. ამაში ეგვიპტის ტერაქტებმაც დაგვარწმუნა. სამწუხაროდ, ბოლომდე უსაფრთხო ადგილი მსოფლიოში არ არის“ — თქვა „შავ-ლურჯების“ ქმედებით განაწყენებულმა ლონდონის მერმა კენ ლივინგსტონმა.

„სამწუხარო ფაქტებისა და საერთო ვითარების გათვალისწინებით, ფეხბურთმა ცოტა უკან უნდა დაიხიოს. ამ მიზეზების გამო გადავწყვიტეთ, ინგლისში აღარ გავემგზავროთ. არ გვსურს, იქაურ სამართალდამცავებს ზედმეტი საფიქრალი გავუჩინოთ, მათ ისედაც ბევრი საქმე აქვთ“ — ნათქვამია „ინტერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

ასეა თუ ისე, „ნეროაძურიმ“ ლონდონს არა, მაგრამ იტალიის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ ბოლცანოს კი მიაშურა და „ბორდოსთან“ ამხანაგურად გაჯიბრებაც მოასწრო. აპენინელებმა ფრანგულ კლუბს მინიმალური სხვაობით, 2:1 მოუგეს. თავი ხულიო კრუზმა და ობაფემი მარტინსმა გამოიჩინეს, ხოლო მეტოქის მხრიდან ერთი საპასუხო გოლი ჩეხი ნახევარმცველის, ვლადიმირ შმიცერის ანგარიშზეა.

„ჩვენ თამაშში ბევრი სასიამოვნო დეტალი შევამჩნიე. თანაც იმ კლუბის წინააღმდეგ, რომელსაც ეროვნული ჩემპიონატი რამდენიმე დღეში ეწყება და უკვე მომზადებულია. მინდა, გამოვარჩიო დავიდ პიზარო, რომელიც გუნდს მშვენივრად ერგება. მას მართლაც შესაშური ტექნიკური მონაცემები აქვს“ — თქვა მილანელთა მთავარმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

„ინტერის“ სპორტულმა დირექტორმა მარკო ბრანკამ კი ედგარ დავიდსზე და ფრანჩესკო კოკოზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამ ფეხბურთელებს „სან სიროზე“ მომავალი არ აქვთ და მათთვისვე აჯობებს, თუ სხვა კლუბში გადავლენ.

„მათთან ახალი კონტრაქტის გაფორმება ამ ეტაპზე გამორიცხულია. ორივეს რეგულარულად თამაში სურს და ეს ბუნებრივიც არის. ამიტომ აჯობებს, თუ გუნდს დატოვებენ. კოკოსაც და დავიდსაც ინგლისიდან ბევრი მსურველი ჰყავთ. ჩვენ მოლაპარაკებისთვის მზად ვართ“ — აღნიშნა ბრანკამ.

რაც შეეხება ამ ფეხბურთელების მსურველებს, მათ ინგლისური კლუბები მართლაც უტრიალებენ. დავიდსს — „ვესტ ჰემი“, „ტოტენჰემი“ და „მიდლსბრო“, ხოლო კოკოს — „ბოლტონი“ და „ევერტონი“.

ამასობაში, ერთი გვარი გამოაკლდა „ინტერის“ სასურველ მოთამაშეთა სიას — ეს პატრის ევრაა. „მონაკოს“ მისი გასხვისება არ უნდა და, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ 24 წლის მცველი მომავალ სეზონსაც „ლუი მეორეზე“ გაატარებს.

„წინადადება „ინტერისგან“ „რეალისგან“, „ლივერპულისგან“ და კიდევ ერთი ფრანგული კლუბისგან მქონდა. განსაკუთრებით იტალიელები აქტიურობდნენ და ყველა მხრივ მიმზიდველ კონტრაქტსაც მთავამზობდნენ, მაგრამ კლუბი ჩემს გაშვებას არ აპირებს. მე კი რაიმეს შეცვლა არ შემიძლია. თუმცა გულდაწყვეტილი ნამდვილად არ ვარ, რადგანაც „მონაკო“ ძალიან მიყვარს და გუნდთან ერთად ტიტულების მოგება მინდა“ — განაცხადა ევრამ.

ბოლოს კი „ნეროაძურის“ ვეტერან კაპიტან ხავიერ ძანეტის მოვუსმინოთ: „ჩვენ ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. პირველი გამოცდა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი და იტალიის სუპერთასი იქნება, რომლის მოგებაც ძალიან გვინდა. გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა და მიხარია, რომ ამდენი თანამემამულე მყავს გვერდით. ძალიან კარგი იქნება, თუ ვალტერ სამუელიც დაგვეხმარება. მას ცოტა ხნის წინ ვესაუბრე და ვიცი, „ინტერის“ ინტერესი სიამოვნებს. იგი „რეალის“ გადაწყვეტილებას ელოდება“.

გიორგი კაკაბაძე

ინტერტოტოს თასი 2005

ლაციო იდეალურია, შირერი იხეტქავს

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ნიუკასლი (ინგლისი)	2:0	დუბნიცა (სლოვაკეთი) (3:1)
ჟალგირისი (ლიტვა)	2:3	ეგალეო (საბერძნეთი) (3:1)
სლავენი (ხორვატია)	0:3	*დეპორტივო (ესპანეთი)* (0:1)
ჰამბურგი (გერმანია)	2:0	ლეირია (პორტუგალია) (1:0)
ტამპერე (ფინეთი)	1:1	*ლაციო (იტალია)* (0:3)
ლანსი (საფრანგეთი)	4:1	ვარტექსი (ხორვატია) (1:1)
ლიბერეცი (ჩეხეთი)	1:1	*როდა (ჰოლანდია)* (0:0)
სიგმა (ჩეხეთი)	0:0	დორტმუნდი (გერმანია) (1:1)
ვოლფსბურგი (გერმანია)	2:0	გიოტებორგი (შვედეთი) (2:0)
მარსელი (საფრანგეთი)	2:1	იანგ ბოისი (შვეიცარია) (3:2)
ვალენსია (ესპანეთი)	2:0	გენტი (ბელგია) (0:0)
სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	2:2	*კლუჟი (რუმინეთი)* (1:1)

მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

დეპორტივო (ესპანეთი)	—	ნიუკასლი (ინგლისი)
ვოლფსბურგი (გერმანია)	—	ლანსი (საფრანგეთი)
ლაციო (იტალია)	—	მარსელი (საფრანგეთი)
ჟალგირისი (ლიტვა)	—	კლუჟი (რუმინეთი)
ვალენსია (ესპანეთი)	—	როდა (ჰოლანდია)
სიგმა (ჩეხეთი)	—	ჰამბურგი (გერმანია)

პირველი მატჩები გაიმართება 27 ივლისს, საპასუხოები — 3 აგვისტოს



ალან შირერი ძველებურად თამაშობს

ორი ფრე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ოლიმპიოუცის „სიგმას“ დორტმუნდის „ბორუსია“ გზიდან ჩამოეცილებინა. ჩეხებმა პირველ მატჩში სტუმრად 1:1-ს მიაღწიეს, შინ კი უგოლოდ დაუზავდნენ მეტოქეს და მომდევნო ეტაპზე კვლავ ბუნდესლიგურ კლუბს, „ჰამბურგს“ შეხვდებიან.

„სიგმას“ მეთორმეტე წუთზე შეეძლო დაწინაურება, როცა პეტერ ბაბნიჩი რომან ვაიდენფელერთან პირისპირ გავიდა. მან მეკარეს ბურთიანად ჩაურბინა და ცარიელ კარს ააცილა. ოდნავ მოგვიანებით კიონიგმაც ბაბნიჩურად ითამაშა, რადგან „უპატრონოდ“ მიტოვებულმა ბურთი ტრიბუნაზე გაუშვა.

დორტმუნდელებმა პირველი ტაიმის ბოლოს ააწყვეს თამაში, შედეგად კი ტომაშ როსიცკის ორი საგოლე ეპიზოდი ჰქონდა. ჩეხი ნახევარმცველი უზუსტობაში მასპინძლებს გაეჯიბრა და ორივე მომენტი გაანიავა. შესვენებამდე წუთით ადრე კი ბორუსიელმა ფორვარდმა კრინგემ ახლოდან ვერ გაიტანა.

მეორე ნახევარში დორტმუნდის „ბორუსია“ ბატონობდა, მაგრამ ბურთმა კარში შესვლა არ ინება. როსიცკიმ დელრონ ბაკლის და იან შმოლარეკს თითო-თითო კარგი პასი „გამოუწერა“, მათ კი ვერ გამოიყენეს. მსაჯმა მატჩს ხუთი წუთი დაამატა, ეგებ ერთი გოლი მაინც გავიდეს, თუმც ამაოდ.

ალან შირერი კარიერის დასრულებას შარშან აპირებდა, არადა, ისევ ისე თამაშობს, როგორც საუკეთესო წლებში. სლოვაკურ „დუბნიცასთან“ მატჩში „კაჭკაჭთა“ კაპიტანმა დუბლი შეასრულა და ორივე გოლი ჩვეულ სტილში, თავით გაიტანა.

ლაკორუნიულ „დეპორტივოს“ პირველ მატჩში „სლავენის“ ძლევა გაუჭირდა. სამაგიეროდ, სტუმრად გაილაღა და ხორვატებს იოლად აჯობა. რუბენ კასტრომ მეთვრამეტე წუთზე მეტოქე მცველი გაამასხარავა და ანგარიში გახსნა. შესვენებამდე სერხიო გონსალესმა მასპინძელთა კარის ხარიხა შეატოკა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ექტორ ბერენგელის წაცევისთვის დანიშნული პენალტი ვიქტორმა გამოიყენა. ამის შემდეგ პედრო მუნიტისმა ძელს მოარტყა ბურთი, ხოლო დიეგო ტრისტანმა რუბენ კასტროს პასით იხეირა.

„სლავენის“ მწვრთნელი ბრანკო კარჩიჩი: „დეპორტივოს“ მსოფლიო დონის ფეხბურთელები ჰყავს და კლასში სხვაობა აშკარად გამოჩნდა“.

„გამარჯვების მიუხედავად, თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ“ — განაცხადა სტუმართა მწვრთნელმა ხოაკინ კაპაროსმა.

„მარსელს“ შვეიცარიაში „იანგ ბოისთან“ პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა, თან სტუმრებს საპასუხო შეხვედრისთვის გამთამაშებელი ჰაკან იაკინი აკლდათ. მიუხედავად ამისა, „იანგ ბოისი“ შესვენებამდე რაიმონდის გოლით დაწინაურდა. მეორე ტაიმში უილსონ ორუმას წაცევისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც პეგი ლუინდულამ შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა. ხოლო 17 წლის მარსელელმა სამირ ნასრიმ მოგვიანებით კოხტა გოლი შეაგდო — 2:1.

„ლანსმა“ ხორვატიულ „ვარტექსს“ პირველ ტაიმში ვერ გაუტანა, მაგრამ მეორეში ოთხჯერ „დაასაჩუქრა“, რაზეც სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს.

თომას დოლის „ჰამბურგმა“ ემილ მჰენზასა და სერგი ბარბარესის გოლებით „ლეირიას“ აჯობა, „ვოლფსბურგმა“ კი შვედურ „გიოტებორგს“ არგენტინულად მოუგო: ანდრეს დალესანდრომ პირველ ტაიმში ივარგა, დიეგო კლიმოვიჩმა კი შესვენების შემდეგ მასპინძლებს მეორე გაუტანა.

„ლაციო“ იდეალურად მოიქცა, ანუ 87-ე წუთზე გოლი გაუშვა და 92-ეზე გაათანაბრა.

ვილნიუსის „ჟალგირისმა“ თამაშის დაწყებისთანავე დააღონა „ეგალეო“, ნახევარი საათის თავზე კი უკვე ორბურთიანი სხვაობით უგებდა. ბერძნებმა თავის მხრივ საუცხოო თოთხმეტწუთეული „გამოაცხვეს“ და მიჯრით სამი გოლი გაუტანეს ლიტველებს.

„ვალენსიამ“ ბელგიურ „გენტს“ მოუგო და ამ ამბავში მთავარი ისაა, რომ პატრიკ კლუივერტმა ახალ გუნდში პირველი გოლი გაიტანა.

მამადუ ნიანგის (№11) „მარსელმა“ შვეიცარიელებს ორივე მატჩი მოუგო

ვაჟა ხუციშვილი

ზენიტელმა რობერტას პოშუსმა „ალანიას“ 36-ე წუთზე გაუტანა

მინტიმერ შაიმიევი შამანოგაში ჩაიჭრა

გენერალური ლომ-ალი

რუსეთი

პრემიერლიგა. XVII ტური

კრილია 0:1 ტერეკი

0:1 ადამოვი (76)

ზენიტი 3:1 ალანია

1:0 კრიჟანეცი (27), 2:0 პოშუსი (36), 3:0 სპივაკი 74), 3:1 ტუდორი (87)

ალანია: რადიჩი, ბარასა (კრისტოფერი 46), აგაევი, ჟუტაუტასი, გრუიჩი, ოკორონკვო, დბრასელია, გ. ბაზაევი (კ. ტუდორი 61), ჯ. ბაზაევი, გოგნიევი (დადუ 46), ბურდული

შინიკი 2:1 როსტოვი

1:0 პოგრებნიაკი (39), 1:1 აშვეთია (61), 2:1 ბუდიშა (78)

როსტოვი: ბაგი, კრუშჩიჩი (ჰენდრიქსი 26), ჩერნიშოვი, ოლენიკოვი, შირშოვი, ბურჩენკო (ბუზნიკინი 42), ოსინოვი, ბოჩკოვი, დანცევი, პერესი (ზვანე 65), აშვეთია

რუბინი 0:0 სპარტაკი

რუბინი: ხარჩიკი, ფიოდოროვი (მახმუტოვი 79), სინიოვი, სალუძვაძე, სკოტი, აიუპოვი, ასტაფიევსი, სილა, კონოვალოვი, ჩიჟეკი (სიბაია 72), რალფი

მოსკვა 0:1 ლოკომოტივი

0:1 სიჩოვი (56)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, გურენკო, ასათიანი, პაშინინი, სენიკოვი, ხოხლოვი (ომელიანჩუკი 90), ფ. ლიმა, კრუგლოვი, ბილიალეტდინოვი, კანიენდა (მამინოვი 65), სიჩოვი (ლებედენკო 78)

ამკარი 3:2 სატურნი

0:1 პარკსი (30), 1:1 კუშევი (40), 2:1 ბელორუკოვი (50), 3:1 ვოლკოვი (55), 3:2 შიროკოვი (87)

ცსკა 2:0 ტომი

1:0 იგნაშევიჩი (20), 2:0 ვაგნერ ლავი (32)

ტორპედო 2:1 დინამო

0:1 სპაჰიჩი (9ს.კ.), 1:1 სემშოვი (16), 2:1 პანოვი (37)

ყაზანის „რუბინს“ ამ სეზონში მოსკოვურ კლუბებთან შინ არ წაუგია და ტრადიცია „სპარტაკთანაც“ გააგრძელა. ალექსანდრს სტარკოვსის „სპარტაკის“ საქმე კი უკან-უკან მიდის, რადგან უკვე მიჯრით ხუთი ტურია, ვერ იგებს.

ყაზანში მატჩს თათრეთის პრეზიდენტი მინტიმერ შაიმიევიც დაესწრო. აქამდე შაიმიევი სამჯერ მისულა „რუბინის“ თამაშზე და გუნდმა სამჯერვე მოიგო, მაგრამ ამჯერად პრეზიდენტის ჯადომ ვერარ გაჭრა.

„ლოკომოტივი“ უძლეველ სერიას აგრძელებს. იური სიომინის აწყობილი გუნდის დამარცხება ჯერჯერობით ვერავინ შეძლო. სიომინის შემცვლელმა ვლადიმირ ეშტრეკოვმა თქვა, სერიები სულ არ მადარდებს, მთავარია, ჩემპიონები გავხდეთო. „ლოკომოტივი“ ნაღდად ჩემპიონურად თამაშობს. გუნდმა ცხრამეტ მატჩში მხოლოდ ოთხი გოლი გაუშვა, მდევარ „ზენიტს“ კი ცხრა ქულით უსწრებს. „ლოკომოტივმა“ „მოსკვას“ დმიტრი სიჩოვის გოლით მოუგო, რომელმაც ჟენოვს ახლო ცხრიანში გაუტანა.

„როსტოვმა“ შეათე მატჩი წაგო და ცხრილის ფსკერს დაეპატრონა. დონისპირელებს იაროსლავლში ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ მეკარე ბაგიმ დაღალატათ. პირველი ტაიმის მიწურულს ბაგიმ არაფრისგან გოლი შექმნა. მან ბურთი შინიკელ პოგრებნიაკს ფეხზე დაასვა და მასპინძელმა ფორვარდმაც საჩუქარი შეირგო.

მეორე ტაიმში მიხეილ აშვეთიამ შორეული დარტყმით გაათანაბრა და „როსტოვი“ ქულისთვის დაცვაში ჩადგა. „შინიკის“ ხორვატმა ლეგიონერმა იგორ ბუდიშამ სტუმართა კარის ძელიდან ასხლეტილ ბურთს თავი ისე დაარტყა, რომ ხელს დაეჯახა. სტადიონი გოლს ზეიმობდა, ბუდიშა კი ტვინის შერყევის დიაგნოზით სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს.

რუსეთის ყველაზე „ფრიანმა“ გუნდმა, პერმის „ამკარმა“ ნავსი გატეხა — რვამატჩიანი ლოდინის შემდეგ მოიგო. არადა, „სატურნთან“ თავიდან აგებდა. სტუმრები პარკსმა დააწინაურა, პირველი ტაიმის მიწურულს კი მასპინძელმა კუშევმა გაათანაბრა. მეორე ნახევრის დაწყებიდან ათ წუთში პერმელებმა მიჯრით ორი გოლი გაიტანეს, ხოლო „სატურნის“ შირიკოვმა მატჩის ბოლოს ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლო.

სამარაში „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა გროზნოს „ტერეკის“ გენერალურ დირექტორ ლომ-ალი იბრაგიმოვს კინაღამ სცემა. დაღესტნელმა გაჯიევმა და ჩეჩენმა იბრაგიმოვმა ერთმანეთისკენ გაიწიეს და პოლიციელებმა ძლივს გაშორიშორეს. „კრილიას“ მწვრთნელი სტუმართა უხეში თამაშის გამო გაბრაზდა და ლომ-ალის პრესკონფერენციაზე უთხრა, თქვენს ფეხბურთელებს კორექტულობა მართებთო. ჩხუბიც ამის გამო დაწყებულა.

„კრილია სოვეტოვის“ სერბი ლეგიონერი ოგნიენ კორომანი მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მოეღინიდა გააძევეს, რადგან მსაჯს დედა აგინა, „ტერეკმა“ კი ზედიზედ მეორე შეხვედრაში იმარჯვა.

ვაჟა ხუციშვილი

ლოკომოტივი	19	11	8	0	27:4	41
ზენიტი	18	9	5	4	30:17	32
ცსკა	16	9	4	3	25:7	31
რუბინი	17	7	7	3	19:15	28
სპარტაკი	17	7	5	5	27:19	26
მოსკვა	16	7	5	4	17:9	26
ტორპედო	17	5	7	5	18:15	22
დინამო	17	7	1	9	19:27	22
სატურნი	17	5	5	7	13:13	20
შინიკი	17	4	8	5	12:15	20
ამკარი	17	3	10	4	14:21	19
კრილია	18	4	7	7	15:23	19
ალანია	17	4	5	8	13:25	17
ტომი	17	3	7	7	9:17	16
ტერეკი	17	4	3	10	10:25	15
როსტოვი	17	2	5	10	10:26	11

ბუტს ბურთი გაეგუბუტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

ლიგის თასი. I ეტაპი

ჰერტა 0:0(პენ.3:4) შტუტგარტი

ჰერტა: ტრემელი, ა. ფრიდრიხი (ჩაპედი 71), შიმუნიჩი, მადლუნგი, ფატი (სალიბოვიჩი 80), ნოინდორფი (რაფაელი 62), ო. შრიოდერი, ნ. კოვაჩი, ტ. მარქსი, მარსელინიო, ვიშნიარეკი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მ. ბაბელი, ფ. მეირა, მანინი, სოლდო, ტიფერტი (ჰელდტი 88), გენტნერი, ჰიცლშპერგერი, შტრელერი (ტომასონი 60), კაკაუ (გომესი 71)

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

გაფრთხილება: შრიოდერი

მსაჯი: შტარკი

25 000 მაყურებელი

ვერდერი 1:0 ლევერკუზენი

1:0 კლასნიჩი (19)

ვერდერი: რაინკე, უმითი, ლ. ანდრეასენი, პასანენი, ჯ. შულცი, ბაუმანი (ვრანიუში 83), ფრინგსი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე (ნ. ვალდესი 69), კლასნიჩი

მწვრთნელი: თომას შააფი

ლევერკუზენი: ბუტი, კასტრო (ბარნეტა 67), მადუნი, კალსენ-ბრაკერი, ბ. შნაიდერი (ვორონინი 73), რამელო, როლფსი, ატირსონი, ფრანცა, ბერბატოვი, კრეინოვეკი (ბაბიჩი 61)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ბაუმანი, უმითი, ვორონინი

მსაჯი: გრეფე

20 000 მაყურებელი

ჯოვანი ტრაპატონის „შტუტგარტმა“ სეზონი „ჰერტას“ ძლევით დაიწყო. გერმანიის ლიგის თასის მეოთხედფინალში „ტრაპის“ გუნდმა ბერლინელებს პენალტებით მოუგო.

ვერდერი — ლევერკუზენი. ბერნდ შნაიდერი (№25) და მისი თანაგუნდელები ბრემენელებთან სტატისტების როლში იყვნენ

შეგახსენებთ, რომ ამ თასის გათამაშებაში ბუნდესლიგაში პირველმეექვსე ადგილზე გასულები მონაწილეობენ. „შტუტგარტს“ მეტოქედ „ჰერტა“ ერგო, ბრემენის „ვერდერს“ და ლევერკუზენის „ბაიერი“. ჩემპიონი (მიუნხენის „ბაიერნი“) და მეორეადგილოსანი („შალკე“) გათამაშებაში ნახევარფინალიდან ერთვებიან.

შტუტგარტელთა ახალწვეულმა იონ დალ ტომასონმა სადებიუტო მატჩში გამარჯვების პენალტი გაიტანა, მას შემდეგ, რაც ძირითადი დრო უგოლოდ გაილია. თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიაში ბერლინელთაგან მარქსმა და ნიკო კოვაჩმა ბურთი კარს ააცილეს. მეოთხე, გადამწყვეტი პენალტი ტომასონმა უზადოდ შეასრულა და ნახევარფინალში „შტუტგარტი“ მიუნხენის „ბაიერს“ შეხვდება.

ბრემენის „ვერდერი“ ლევერკუზენის „ბაიერნთან“ ივან კლასნიჩის გოლით დაწინაურდა. მატჩის მიწურულს ბრემენელთა კარში პენალტი დანიშნეს, მაგრამ „ბაიერის“ მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა უხეიროდ დაარტყა. ნახევარფინალში „ვერდერის“ მეტოქე „შალკე“ იქნება და ეს მატჩი ზეგ გაიმართება.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები

ჰონკონგის ნაკრები 0:2 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
პეკინი (ჩინეთი) **2:3 რეალი** (ესპანეთი)
სელტიკი (შოტლანდია) **2:2 სპორტინგი** (პორტუგალია)
მონაკო (საფრანგეთი) **2:2 პორტსმუთი** (ინგლისი)
პორტლენდ ტიმბერსი (ავსტრალია) **0:0 სანდერლენდი** (ინგლისი)
იუვენტუსი (იტალია) **1:0 სტანდარდი** (ბელგია)
ინტერი (იტალია) **2:1 ბორდო** (საფრანგეთი)
ბრიუგე (ბელგია) **2:2 პორტუ** (პორტუგალია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) **3:4 ლივერპული** (ინგლისი)
არმინია (გერმანია) **0:4 აიაქსი** (ჰოლანდია)
ლილი (საფრანგეთი) **1:0 ანდერლეხტი** (ბელგია)
ლიონი (საფრანგეთი) **1:3 ტოტენჰემი** (ინგლისი)
რეინჯერსი (შოტლანდია) **0:0 მიონხენგლადბახი** (გერმანია)
დერბი ქაუნთი (ინგლისი) **0:4 ბირმინგემი** (ინგლისი)
კიოლნი (გერმანია) **1:1 ფენერბაჰჩე** (თურქეთი)

2005 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. III ტური

გერმანია 2:1 ჩრდ. ირლანდია
საბერძნეთი 0:3 სერბეთი

საბოლოო ცხრილი

სერბეთი	3	3	0	0	8:2	9
გერმანია	3	2	0	1	7:5	6
საბერძნეთი	3	1	0	2	1:6	3
ჩრდ. ირლანდია	3	0	0	3	1:4	0

B ჯგუფი. III ტური

სომხეთი 0:1 საფრანგეთი
ინგლისი 3:2 ნორვეგია

საბოლოო ცხრილი

საფრანგეთი	3	2	1	0	5:2	7
ინგლისი	3	1	2	0	5:4	5
ნორვეგია	3	1	0	2	5:6	3
სომხეთი	3	0	1	2	1:4	1

ნახევარფინალი: 26 ივლისი

სერბეთი — ინგლისი | **საფრანგეთი — გერმანია**

ავსტრია

მაძსაბუნდესლიგა
III ტური

ადმირა — გრაცერი 1:2; მატერსბურგი — აუსტრია 1:2; რაპიდი — პაშინგი 2:0; შტურმი — ტიროლი 0:0; რიდი — ზალცბურგი 3:0

აუსტრია	3	3	0	0	7:4	9
შტურმი	3	2	1	0	5:3	7
რაპიდი	3	2	0	1	7:3	6
გრაცერი	3	2	0	1	7:5	6
რიდი	3	1	2	0	3:0	5
ზალცბურგი	3	1	0	2	5:6	3
პაშინგი	3	0	2	1	0:2	2
ტიროლი	3	0	2	1	0:3	2
მატერსბურგი	3	0	1	2	1:6	1
ადმირა	3	0	0	3	3:6	0

I დივიზიონი. III ტური

აუსტრია (ლ) — გრატკორნი 2:1; აუსტრია (მ) — კუფშტაინი 4:0; ლინცერი — ალტახი 0:0; ლეობენი — კერნტენი 1:1; შვაინშტადტი — კაპფენბერგი 0:0

კონკაკაფის ოქროს თასი — 2005

ნახევარფინალი

ჰონდურასი 1:2 აშშ
კოლუმბია 2:3 პანამა

ფინალი

აშშ — პანამა

წუხელ გვიან დამთავრდა

ირლანდია

პრემიერლიგა. XVIII ტური

ბოჰემიანსი — დროჰედა 3:2; ბრეი — შელბურნი 2:2; კორკ სიტი — შემროკი 3:0; დერი სიტი — დუბლინი 3:0; სენტ პატრიკსი — უოტერფორდი 1:0; ლონგფორდი — ფინ ჰარპსი 1:0

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. III ტური

დინამო — სტალი 4:0; კრივბასი — ტავრია 2:0; დნიპრო — მეტალურგი (ზ) 3:0; ჩერნომორეცი — ზაკარპატია 2:0; მეტალურგი (დ) — ილიჩევეცი 0:0; ვოლინი — არსენალი 2:1; ვორსკლა — მეტალისტი 0:1; ხარკოვი — შახტარი 2:3

შახტარი	3	3	0	0	6:2	9
მეტალისტი	3	3	0	0	4:0	9
დინამო	3	2	1	0	7:1	7
ჩერნომორეცი	3	2	1	0	4:1	7
ტავრია	3	2	0	1	5:4	6
ვოლინი	3	2	0	1	3:2	6
მეტალურგი (დ)	3	1	2	0	5:0	5
კრივბასი	3	1	1	1	3:2	4
ილიჩევეცი	3	1	1	1	3:4	4
დნიპრო	3	1	0	2	4:5	3
ზაკარპატია	3	0	2	1	0:2	2
ხარკოვი	3	0	1	2	4:6	1
ვორსკლა	3	0	1	2	2:4	1
არსენალი	3	0	1	2	2:5	1
მეტალურგი (ზ)	3	0	1	2	1:5	1
სტალი	3	0	0	3	0:10	0

შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

ივერდონი — იანგ ბოისი 0:3; თუნი — ბაზელი 3:0; აარაუ — სენტ გალენი 1:4; შაფჰაუზენი — ქსამაქსი 1:1; ციურიხი — გრასჰოპერი 4:2

ციურიხი	2	2	0	0	7:3	6
იანგ ბოისი	2	2	0	0	6:1	6
თუნი	2	2	0	0	5:0	6
სენტ გალენი	2	1	0	1	5:4	3
გრასჰოპერი	2	1	0	1	5:6	3
ბაზელი	2	1	0	1	1:3	3
შაფჰაუზენი	2	0	1	1	1:2	1
ქსამაქსი	2	0	1	1	2:4	1
ივერდონი	2	0	0	2	2:6	0
აარაუ	2	0	0	2	1:6	0

ჩელენჯლიგა. II ტური

კონკორდია — ბოლმი 4:1; ვილი — კრინსი 2:0; ვინტერთური — ვადუცი 1:2; ბელინცონა — იუვენტუსი 0:0; შო დე ფონი — კიასო 3:1; ლუცერნი — ვოლენი 0:1; ლუგანო — ლოკარნო 0:0; მეირინი — ბადენი 1:1; სიონი — ლოზანა 1:2

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა. XX ტური

ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი 0:1; კოლუმბუსი — კანზასი 2:0; კოლორადო — ჩიკაგო 4:1; სოლტ ლეიკი — დალასი 3:0; სან ხოსე — ნიუ იორკი 2:1

კასანო — იყო მეორე, გახდა მეოთხე

ანტონიო კასანო ყველასთვის მოულოდნელად გაათავისუფლეს „რომას“ ვიცე-კაპიტნობიდან. შესაძლოა, არ გახსოვდეთ, მაგრამ ახალგაზრდა თავდამსხმელი გასულ ზაფხულს დაასახელეს ფრანჩესკო ტოტის შემცვლელად. მაგრამ აი, გამოხდა მხოლოდ ერთი წელიწადი და ის სამკლავურს ვეღარ მოირგებს. თუმცა არა, მთლად ასეც არ არის საქმე — კასანოს სამკლავურის გაკეთების საშუალება მიეცემა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მოუვა კაპიტანს, ახალ ვიცეს, ვინჩენცო მონტელასა და მის შემცვლელ კრისტიან პანუჩის... ერთი სიტყვით, კასანოს კაპიტნობა ერთბაშად სამი კაცის ვერ-ყოფნას ნიშნავს.

„რომას“ ახალი ბოსი ლუჩანო სპალეტი: „კაპიტნობის საკითხი მარტივი და ნორმალური კრიტერიუმის მიხედვით მოვაგვარე — სია შევადგინე იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი თამაში აქვს ჩატარებული ჩვენი გუნდის მაისურით. ერთი სიტყვით, ყველაფერი სადაა და ამ თემის გართულებას აღარ ველოდები. თავად კასანომაც მკითხა მიზეზი, მეც ავუხსენი და რამდენადაც მივხვდი, მან ეს მიზეზი არგუმენტირებულად მიიჩნია“.

პაპუნა კედია

ფიგუს სადღაც ეჩქარება
მილანში სამუელი 4 აგვისტომდე უნდა

ლუიშ ფიგუ შესაძლოა, „რეალში“ დარჩეს

როგორც ჩანს, პორტუგალიელ ნახევარმცველ ლუიშ ფიგუს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, დატოვოს თუ არა მადრიდის „რეალი“. ცოტა ხნის წინ იგი ირწმუნებოდა, კლუბს გამოვიცვლი და სავარაუდოდ, „ინტერში“ გადავალო, მაგრამ...

„ჩემზე არ არის დამოკიდებული, როდის მოვირგებ „ნეროაძურის“ მაისურას. წინადადება სხვა კლუბებისგანაც მაქვს, მაგრამ „ინტერი“ ავირჩიე. თუმცა თუ მათ მართლაც სურთ ჩემი დამატება, მაშინ დროულად უნდა იმოქმედონ და „რეალს“ შეუთანხმდნენ. ამ შემთხვევაში პრობლემა არ იქნება“ — ეს ფიგუმ ერთი დღის წინ თქვა, ბოლოს კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ფეხბურთელისთვის ამგვარ ვითარებაში ყოფნა ყოველთვის რთულია. ვიცი, რომ მწვრთნელი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ აღარ განმიხილავს, მაგრამ კონტრაქტს პატივს ვცემ და ყველაფერს გავაკეთებ „რეალის“ დასახმარებლად“.

რა მოხდება საბოლოოდ, ძნელი სავარაუდოა. ერთი შეხედვით „ინტერის“ შანსები მცირდება, მაგრამ ეგებ ფიგუ ამ გზით მილანელთა დაჩქარებას ცდილობდეს.

პრობლემა ის არის, რომ „ნეროაძურის“ 32 წლის ნახევარმცველის უფასოდ გადაბირება უნდა, მაგრამ „რეალი“ 2 მილიონ გირვანქას ითხოვს და ფეხბურთელთან კონტრაქტის გაწყვეტაზე ჯერჯერობით არ თანხმდება. ბარიერს ქმნის ფიგუს მაღალი ხელფასიც — „სამეფო კლუბში“ იგი წელიწადში 3 მილიონ გირვანქას იღებს.

ამასობაში, ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება „რეალსა“ და „ინტერს“ შორის ჩიხში შესული კიდევ ერთი მოლაპარაკება. ამჯერად საქმე ვალტერ სამუელის შესაძლო ტრანსფერს ეხება. ფიგუზე მეტად მილანელებს მისი ხელში ჩაგდება უნდათ და ყველანაირად ცდილობენ, ეს 4 აგვისტომდე მოხდეს, რათა არგენტინელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მიეცეს.

ცხადია, პრობლემა ამ შემთხვევაშიც ფულია. თუმცა დღეს მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი დაიწყო და დიდი შანსია, მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ.

გიორგი კაკაბაძე

დეკოს ჩელსი უნდა

კატალონიური „ბარსელონას“ ერთ-ერთი ლიდერი, პორტუგალიელი დეკო მოგეხსენებათ, წარმოშობით ბრაზილიელია და როგორც ამბობენ ინტერვიუებში სამხრეთული პირდაპირობით საუბრობს. ამჯერად მან გაზეთ „სპორტს“ გული გადაუშალა. რამდენიმე ხნის წინ დეკომ „ბარსასთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგძლივა. ვფიქრობთ, მასთან ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ბევრ საინტერესოს ამოიკითხავთ



— ახალი კონტრაქტით დავიწყოთ. კმაყოფილი ხართ?

— ჩემი სამუშაო ანუ ფეხბურთის თამაში ჩემთვის უმთავრესია ცხოვრებაში. ბედნიერი ვარ, რომ ხალხსაც ვუყვარვარ და კლუბიც სრულიად მენდობა.

— გასულ სეზონში თქვენი თამაშით გულშემატკივრებმა გვარიანად ისიამოვნეს. ახალში რას უნდა ველოდოთ?

— ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის სიახლისკენ ვიზილტვი. ერთ ადგილზე გაჩერება არ შემიძლია. ვფიქრობ, რომ მომავალ სეზონში ფიზიკურადაც უფრო ძლიერი ვიქნები და გოლებსაც ხშირად გავიტან.

— როგორ ფიქრობთ, „ბარსელონა“ ახლა უფრო ძლიერია?

— რა თქმა უნდა. ძლიერი ფეხბურთელები დაგვემატნენ, ტრავმირებულნიც გამოჯანმრთელდნენ. მოკლედ, საკუთარი თავისადმი რწმენა შეგვემატა. საქმისადმი სწორი მიდგომა, აი, ესაა ჩვენი კოზირი. პირადად მე, ზუსტად იგივენაირად მწყურია გამარჯვება, როგორაც 5 წლის წინ მინდოდა.

— გუნდის მიზანი, ალბათ, ახლაც ესპანური პრიმერას მოგება იქნება...

— ცხადია და ამის ძალიან დიდი შანსიც გვაქვს, რათა ისევ ჩემპიონები გავხდეთ. მოკლედ, ყველაფერი ჩვენს ხელთაა.

— მაგრამ „ბარსელონას“ ფანებს ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურთ...

— მართლებიც არიან. ინჩასები მუდამ გვერდში გვიდგანან და ჩვენც უბრალოდ, ვალდებულნი ვართ, გავახაროთ. გვყავს გუნდი, რომელსაც ყველაფრის მოგება შეუძლია. თუმც, ცხადია, შინაურ ჩემპიონატში გამარჯვება ჩემპიონთა ლიგასთან შედარებით ადვილია — ესპანეთის პირველობაზე შეცდომების გამოსწორება დროთა განმავლობაში შეიძლება, ლიგაზე კი ერთი წაგება და...

— ევროპაში ყველაზე სახიფათო მეტოქედ კვლავაც „ჩელსის“ მიიჩნევთ?

—„ჩელსი“ საკმაოდ უხერხული მეტოქეა, თუმც გაიხსენეთ, ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების დასაწყისში „ლივერპულის“ მოგებას ვინმე ვარაუდობდა? ამით იმის თქმა მინდა, რომ ლიგაში პროგნოზის გაკეთება ლატარიის ტოლფასია.

— „ჩელსისთან“ შარშანდელი მარცხი კი ვინძლო ახლაც მწარედ გახსოვთ...

— ბევრი ამბობს, რომ წინა სეზონი ჩემთვის ძალიან იღბლიანი იყო, მე კი ასე არ ვფიქრობ. მართალია, ესპანეთის ჩემპიონატი რიხით მოვიგეთ, მაგრამ ლიგაში „ჩელსისთან“ მარცხს დღემდე გულისტკივილით ვიხსენებ. ამის გამოსწორება მაურინიუს გუნდზე რევანშით თუ შეიძლება. ძალიან გამიხარდება, თუ ლიგაში ისევ ლონდონელებს შევხვდებით. მათთან ანგარიში გვაქვს გასასწორებელი.

— თუ „ბარსამ“ მომავალ სეზონში რაიმე ჯილდო ვერ მოიგო, ეს თქვენთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება?

— უკან გადადგმული ნაბიჯი არა, მაგრამ უზარმაზარი იმედგაცრუება კი.

ნიგერიამ ტრუსიე მოირგო



ფილიპ ტრუსიე ნიგერიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და საქმიანობასაც ოფიციალურად 1 აგვისტოდან შეუდგება. ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის თავჯდომარე იბრაჰიმ გალადიმამ თქვა, ფრანგს 17-თვიანი კონტრაქტი გავუფორმეთო. ჯამაგირის ოდენობა კი არ გაამხილა.

ფილიპ ტრუსიე „არწივებს“ გასული საუკუნის ბოლოსაც თავკაცობდა — მის ხელქვეით გუნდმა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, მაგრამ მანც გაათავისუფლეს. ნიგერიის გარდა, მას კოტ დივუარის, საშრეთ აფრიკის, ბურკინა ფასოსა და იაპონიის ნაკრებებშიც უმუშავია.

გასულ ზამთარს ფილიპ ტრუსიეს „მარსელი“ ჩააბარეს და თავიდან კარგადაც დაიწყო, თუმც სეზონის მიწურულს „მარსელი“ აირია და უეფას თასზე თამაშის უფლებაც ვერ მოიპოვა. სწორედ ამის გამო გაათავისუფლეს კლუბიდან.

ახლა ნიგერია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის აფრიკის მეოთხე შესარჩევ ჯგუფს ანგოლასთან ერთად 15 ქულით ლიდერობს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში უარყოფითი ბალანსი აქვს და მეორე ადგილზეა. არადა, გერმანიაში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული მიდის.

ვაჟა ხუციშვილი

ვილიარეალი და შალკე
ისინი პოულსენზე დაობენ

კრისტიან პოულსენი, გერმანული „შალკეს“ დანიელი ნახევარმცველი მალე ალბათ „ვილიარეალში“ ითამაშებს. როგორც გუშინდელი „მარკა“ გვამცნობს, ესპანური კლუბის მესვეურთ გერმანელებისთვის პოულსენში 3 მილიონი ევრო შეუთავაზებიათ. თავად დანიელი, რომელსაც „შალკესთან“ კონტრაქტით კიდევ ერთი წლით უწევს თანამშრომლობა, ესპანეთში გადასვლით ფრიად დაინტერესებულა.

„ვილიარეალის“ შესახებ ბევრი რამ ვიცი. მიხარია, რომ ასეთი ძლიერი გუნდის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ. ჯერჯერობით ისევ „შალკეში“ ვრჩები, თუმც რამდენიმე ხნის შემდეგ ეგებ ყველაფერი შეიცვალოს“ — უთხრა პოულსენმა ესპანურ მედიას.

გერმანული კლუბის უფროსობა კი არ ჩქარობს — „შალკე“ თავის ფეხბურთელს 4,5 მილიონ ევროზე ნაკლებად ვერ ელევა. თუმც, „მარკასვე“ ცნობით, მოლაპარაკება დიდხანს არ გაჯანჯლდება და გერმანელებიც ბოლოს და ბოლოს „ვილიარეალის“ წინადადებას დასთანხმდებიან.

ლადო ხომერიკი

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		30 ივლისი						
18:00	294	მოზერუელი-სელტიკი	8.50	4.30	1.25	2.85	1.08	1.00
18:00	295	დანდი-აბერდინი	2.50	3.00	2.55	1.36	1.26	1.37
18:00	296	ფოლკირკი-ინვერნესი	2.20	3.10	2.85	1.28	1.24	1.48
18:00	297	ჰიბერნიანი-დანფერმლაინი	1.60	3.50	4.60	1.09	1.18	1.98
18:00	298	კილმარნოკი-ჰართსი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
		31 ივლისი						
18:00	299	რეინჯერსი-ლივინგსტონი	1.15	6.00	10.00	1.00	1.03	3.75
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		29 ივლისი						
22:45	39	მარსელი-ბორდო	1.75	3.00	4.50	1.10	1.25	1.79
		30 ივლისი						
19:15	40	პსჟ-მეცი	1.60	3.20	5.30	1.06	1.22	1.99
22:00	41	ნიცა-ტრუა	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
22:00	42	სოშო-ტულუზი	2.00	2.90	3.50	1.18	1.27	1.58
22:00	43	სტ.ეტიენი-აიაჩო	1.70	3.10	4.60	1.09	1.24	1.85
22:00	44	სტრასბური-ოსერი	2.00	2.90	3.50	1.18	1.27	1.58
22:00	45	ნანსი-მონაკო	3.30	2.80	2.10	1.51	1.28	1.20
22:00	46	ნანტი-ლანსი	2.30	2.80	3.00	1.26	1.30	1.44
22:00	47	ლილი-რენი	1.90	2.90	3.80	1.14	1.26	1.64
		31 ივლისი						
20:00	48	ლე მანი-ლიონი	3.80	2.90	1.90	1.64	1.26	1.14
		პოლონეთი						
		26 ივლისი						
19:30	74	კორონა-კრაკოვია	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
21:00	75	პოგონი-პლოცკი	2.15	3.20	2.85	1.28	1.22	1.50
21:00	76	ოდრა-ზაგლებე	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
22:00	77	ბელჩატოვი-გურნიკი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
22:00	78	ლეჩნა-ვისლა	4.30	3.20	1.70	1.83	1.21	1.11
22:00	79	ლეხი-პოლონია	1.60	3.20	5.00	1.06	1.21	1.95
		27 ივლისი						
22:00	80	გროცლინი-ამიკა	1.65	3.20	4.70	1.08	1.22	1.90
		ნორვეგია						
		ტიპელიგა						
		25 ივლისი						
21:00	128	ლილესტრიომი-სტარტი	1.95	3.40	3.30	1.23	1.22	1.67
		შვედეთი						
		ალსვენსკა						
		25 ივლისი						
21:00	136	ელფსბორგი-ასირიანსკა	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
21:00	137	იორგრიტე-კალმარი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
21:00	138	გეფლე-ჰამარბი	3.20	3.30	2.00	1.62	1.23	1.24
		ისლანდია						
		25 ივლისი						
23:15	159	თროტური-ფრამი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		საფრანგეთი						
		სუპერ თასი						
		27 ივლისი						
19:00	293	ოსერი-ლიონი	2.85	2.80	2.50	1.41	1.33	1.32

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ერეკვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი-კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ჭადრაკი

ესპანეთში აზმაიფარაშვილი გაამართლეს

ბაფარი ალიევის ფოტო

ესპანელთა ლამაზ კუნძულ პალმა დე მალიორკაზე ფიდეს ქართველი ვიცე-პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის სასამართლო პროცესი დასრულდა. ჩვენი დიდოსტატი უდანაშაულოდ ცნეს და თითქმის ყველა ბრალდება სხდომის დაწყებამდე მოუხსნეს

შეგახსენებთ, რომ შარშან ოქტომბერში ესპანურ კალვიაში, ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე, ესპანურმა პოლიციამ აზმაიფარაშვილი სასტიკად ცემა და სატუსაღოშიც გააქანა. მაშინ პირველმა სამართალდამცავებმა ქართველს პოლიციელებზე თავდასხმა წაუყენეს ბრალად და 24 საათი ციხეში ამყოფეს.

ჩვენმა მოჭადრაკემ თავი დამნაშავედ არ ცნო და სასამართლოს თავის გასამართლებელი არგუმენტები წარუდგინა. მან აღნიშნა, რომ ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე უკმაყოფილო დარჩა ორგანიზატორთა მუშაობით და სცენისკენ წავიდა, რათა თავისი აზრი გამოეთქვა, მიკროფონისკენ მიმავალს კი გზად სამართალდამცველები გადაუდგნენ და ინციდენტიც ამ დროს მოხდა.

სასამართლო პროცესი პარასკევს გაიმართა, ქართველის დასაცავად კი თვით ფიდე გამოვიდა და, როგორც უკვე იცით, აზმაიფარაშვილი უდანაშაულოდ ცნეს.

გამოტანალი განაჩენით ფიდეს ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა და თავიანთ ღია წერილში კიდევ ერთხელ აღნიშნეს, ჩვენ ერთი ოჯახი ვართო.

ლაშა ბეგეჭკორი

ჟურნალისტიკა

ლიკან-ლიკანით ქაირაში ძიუდოისტების სასექტემბრო სამზადისი

ბაკურიანული შეკრებიდან დაბრუნებული საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ვაკის დარბაზში განაგრძობს ვარჯიშს. მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელი ეტაპი სექტემბრის დასაწყისამდე გასტანს, ტურნირი კი 7-10 სექტემბერს გაიმართება ქაიროში. ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი ეგვიპტეში ნასაყვანი შემადგენლობის დასახელებას არ ჩქარობს. ორი შეკრება ჯერ კიდევ წინაა და ეგვიპტეში წამსვლელი შვიდეულიც იქვე შეივსებაო — გვითხრა გუშინ ხაბარელმა, როცა ნაკრების ამბების გასაგებად შევეხმიანეთ

— როგორ ჩაიარა ბაკურიანის შეკრებამ?

— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ციკლის პირველი შეკრება იყო და ტრადიციულად ფიზიკური დატვირთვებით დავიწყეთ, ტაქტიკა-ტექნიკისთვის კი საკმაო დრო გვრჩება.

— თბილისში დაბრუნებული გუნდი უკვე ინტენსიურად ვარჯიშობს?

— ბიჭები რამდენიმე დღე დავასვენე. ახლა კი ვაკის დარბაზში ვარჯიშს მცირე დატვირთვებით იწყებენ.

— თბილისში რამდენ ხანს დარჩებით?

— თვის ბოლომდე. 30 ივლისს პირველ ლიკანურ შეკრებაზე გავემგზავრებით. 18 აგვისტოს თბილისში დავბრუნდებით და ერთი კვირა ისევ ვაკის დარბაზში ვივარჯიშებთ, მერე კი კვლავ ლიკანში წავალთ დასკვნითი თორმეტდღიანი შეკრების გასავლელად.

— ბოლო საერთაშორისო ტურნირზე ქართველებმა ბლომად მედლები მოიპოვეს. ნაკრების საბოლოო შემადგენლობის შერჩევისას იქაურ შედეგებსაც ხომ არ გაითვალისწინებთ?

— რა თქმა უნდა, თუმც ჯერ შემადგენლობაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა.

— ნესტორ ხერგიანი, დავით ქევხიშვილი, ზურაბ ზვიადური. ამათ გარდა ქაიროში წასაყვან გუნდში ადგილი ვინმეს აქვს გარანტირებული?

— ჯერ გადაწყვეტილი მხოლოდ ეს სამი წონაა. კარგი შანსი აქვს დავით მარგოშვილსაც.

— გია გუგავა? მან ხომ თურქულ ტურნირზე უშუალო კონკურენტ ირაკლი ცირეკაძეს ფინალში მოუგო...

— 100 კილოგრამში საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, ისევე როგორც სხვა რამდენიმე წონით კატეგორიაში. ერთხელაც გავიმეორებ, წინ კიდევ ორი შეკრებაა და საბოლოო შემადგენლობას მხოლოდ მათი დასრულების შემდეგ დავასახელებთ.

ოთარ მაღლაკელიძე

კალათბურთი

მანუჩარ მარკოიშვილს 6 თვე დაუთქვეს

იმ ფეხზე, რომლის ტრავმამაც მანუჩარ მარკოიშვილი ნაკრების მიღმა დატოვა, „ოლიმპიას“ ქართველმა უკანახაზელმა ორი დღის წინ ოპერაცია გაიკეთა იტალიის ქალაქ პეზაროში და დღეს დილით იგი უკვე თბილისში იქნება.

„ოპერაცია ადგილობრივი ანესთეზიით გაკეთდა და არა ნარკოზით — გვითხრა მანუჩარის ძმამ, გიორგიმ — მას კოჭთან მყესი გაწყვეტოტა და თან ძვალზე რაღაც წანაზარდი ჰქონდა. ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა და ერთი თვის შემდეგ უკვე აქტიური სარეაბილიტაციო პროცესი დაიწყება“.

მარკოიშვილს ფეხი ერთი თვე თაბაშირში ექნება და მისი მოხსნის შემდეგ სულ ცოტა, კიდევ ხუთი თვე ვერ შეძლებს თამაშს. ასე რომ, მანუჩარს ამ სეზონის ნახევარი გაუცდება და ახლა ისეთი კლუბი უნდა მონახოს, მისი ასეთი პირობით აყვანას რომ დათანხმდება. როგორც გიორგი მარკოიშვილმა გვითხრა, დიდი შანსია, მისი ძმა კვლავ „ოლიმპიაში“ დარჩეს, თუმც არც სხვა გუნდში გადასვლაა გამორიცხული.

ირაკლი პერტაია

ოლიმპიზმი

ბორჯომს კონკურენტები მოუმრავლდნენ

მას მერე, რაც ესპანეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება ვერ მოიპოვა, გადაწყვიტა, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მისაღებად იბრძოლოს. საამისოდ მან ქალაქ ხაკას კანდიდატურა წამოაყენა.

საინტერესოა, რომ ხაკას მერია თეთრი ოლიმპიადის მიღებას მეექვსედ ცდილობს.

ხაკამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა 1992, 1998, 2002, 2006, 2010 წლების ოლიმპიადების სამასპინძლოდ, მაგრამ მიზანს ვერა და ვერ მიაღწია.

მოგეხსენებათ, 2014 წლის XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების მისაღებად საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სოკ-ში უკვე წარადგინა ბორჯომის კანდიდატურა. დღესდღეობით ცნობილია, რომ 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის მიღებას ბორჯომთან და ხაკასთან ერთად ცდილობენ: ოსტერსუნდი (შვედეთი), პიონგჩანგი (კორეა), ზალცბურგი (ავსტრია) და სოჭი (რუსეთი). ასეთივე სურვილი აქვს საფრანგეთის სამ ქალაქს.

ამასობაში ყაზახეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც მოინდომა ალმათის კანდიდატურის წამოყენება XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ.

„ალმათს შეუძლია ოლიმპიურ მოძრაობას შესთავაზოს ახალი მიმართულება და ახალი ქვეყანა აზიაში ზამთრის სახეობათა განვითარებისთვის“ — აღნიშნულია ყაზახეთის ეოკის მიერ გავრცელებულ ცნობაში.

პრესრელიზში აღნიშნულია, რომ ალმათში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას არაერთხელ დაიბადა და დამუშავდა.

„ალმა-თის კანდიდატურის წამოყენების იდეა ალმათელთა და საერთოდ ყაზახთა გონებაში არ დბადებულა იმდენად, რამდენადაც ჩვენს უცხოელ კოლეგათა შორის, რომლებიც საკმაოდ დიდად აფასებდნენ და აფასებენ ალმა-თის რეგიონის უნიკალურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს“ — ხაზგასმულია უწყებაში.

მასში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამჟამად ალმა-თის კანდიდატურის წამოყენებას 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ მხარს უჭერს ქვეყნის საზოგადოება და სახელმწიფოც.

„ეს ოლიმპიური თამაშები ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური ეფექტის თვალსაზრისით. იგი აგრეთვე კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს საინვესტიციო კლიმატზე“ — იმედოვნებს ყაზახეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ავთანდილ ბუბუნელი

სუმო

ცუპარეზის ოსტატს მეზრძოლი სულიც დაუფასეს



2005 წლის მეოთხე დიდი ბაშო ნაგოიაში ფავორიტის ჩემპიონობით დასრულდა. მონღოლმა იოკოძუნამ ასასიორუმ იმპერატორის თასი ზედიზედ მეხუთედ, კარიერაში კი მეცამეტედ აწია, თუმც წინა ბაშოებთან შედარებით აშკარად გაუჭირდა.

„ცისფერი დრაკონის“ ტრიუმფი ბოლო ტურშიღა შედგა. იქამდე იოკოძუნას მხარდამხარ ბულგარელი კოტო-ევროპა, კოტოოსიუ ლიდერობდა და რომ არა გადამწყვეტ ბრძოლაში მისი წაფორხილება, ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი შეხვედრა — კეტეისი-სენი გახდებოდა საჭირო. ამ ორი დიდკაცის ნაგოური შეხლა ათიოდე დღის წინ 204-სანტიმეტრიანი „ბალკანელი გულივერის“ გამარჯვებით დასრულდა და ამიტომაც იყო, ასასიორუმ ბოლო ტურის წინ რომ თქვა, მირჩევნია, იმპერატორის თასს კოტოოსიუსთან რევანშის აღებით დავეუფლოო.

ჩემპიონის ბოლო ლუკმა ოძეკი ტოჩიაძუმა გახდა, ბულგარელი კი ექსსეკივაკე ვაკანოსატომ დააღონა.

ცხრა მოგებითა და ექვსი წაგებით დაასრულა გამოსვლა დასავლეთის მეექვსე მაგაშირამ ლევან ცაგურიამ. ამით მან შემდეგი ტურნირისთვის რანგის ამაღლება გაინაღდა, თან წინ მდგომ ყველა მაგაშირას ავჯობა. ქართველი სეკიტორი მებრძოლი ხასიათის — კანტოსიოს გამოვლენისთვის სპეციალური პრემიითაც დაუჯილდოვეს. კოკის საფირმო ცუპარების ბოლო მსხვერპლი ტაკამისაკარი გახდა.

ოთარ მაღლაკელიძე

ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთორმეტე ეტაპი

ალე, ალონსო! ჩაო, შუმი



AFP ფოტოსაიმიდან



ახლა კი დანამდვილებით შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა უფლებამოსილება დათმო და ისიც, რომ უდიადესი გერმანელის ტიტულს ალბათ „ბალღი“ ფერნანდო ალონსო დაეპატრონება.

ნანდო ოთხ დღეში 24 წლის შესრულდება. იგი უკვე არის ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ნორჩი კვალიფიკაციისა და რბოლის მომგები, ხოლო ორიოდე ეტაპის შემდეგ ალბათ ყველაზე ახალგაზრდა გვირგვინოსანიც გახდება. სადღეისოდ ყველაზე ყმაწვილჩემპიონები არიან ბრაზილიელი ემერსონ ფიტიპალდი და თავად მიხაელ შუმახერი, რომელთაც ტიტული 25 წლისებმა მოიპოვეს.

რას ვიზამთ, როგორც იტყვიან, დრონი მეფობენ... კონკრეტულად კი — რენოელები. გუშინ თავად გერმანელებსაც აღარ სჯეროდათ დაჩაჩანაკებული „წითელი ბარონის“ გამარჯვებისა მშობლიურ ტრეკზე, რისი დასტურიც სანახევროდ ტიტველი ტრიბუნები იყო.

არადა, მიხაელი სტარტზე არც ისე უკან, მეხუთე იდგა. თანაც რბოლა ყინწად დაიწყო და რამდენიმე წამში ჯერ ჯანკარლო ფიზიკელასა და იქვე ჯენსონ ბატონის გასწრების შემდეგ მესამე გახდა.

პოულის მომგებმა კიმი რაიკონენმა თავიდანვე გაქუსლა, მეწინავეობა არავის დაანება და ოთხ-ხუთჯერ წრეზე სტაბილურად დრაც დააფიქსირა.

სეზონის ბმირმა ალონსომ ვერრეი აჯარ ჯენსონ ბატონს და ეთითოდა გამოუდგა ლიდერს, თუმც „ყინულის კაცი“ კიმი ისე დაფეთებული მიქროდა, მისი გამსწრები არავინ ჩანდა, მაგრამ წლეულს უკვე მერამდენედ, მის „მაკს“ „მერსედესის“ გულმა უმტყუნა და ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი უქულოდ დარჩა.

ასე და ამგვარად, ლიდერობა მოულოდნელად ხელში ჩაუვარდა ალონსოს და ორჯერ საბოქსე შეყოვნების მიუხედავად, ბოლომდე არავისთვის დაუთმია ქარავნის მეთავეობა. ის კი არა, შუა დისტანციაზე იმხელა უპირატესობა მოიპოვა, მისი მომრევი აღარავინ ჩანდა, თუკი „რენო“ არ უდალატებდა. ფრანგულ ბედაურს ესპანელი მხედრისთვის ბოლომდე არც უმტყუნია და ოვიედოელმა სეზონის 12 ეტაპიდან ექვსის მოგებით ლამის ჩამოიკიდა საჩემპიონო მედალი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გუშინ გამარჯვებას ყველაზე მეტად რაიკონენი იმსახურებდა. შაბათს იგი ორივე თავისუფალ პრაქტიკაზე ყველაზე სწრაფი იყო, მერე კვალიფიკაციაშიც ყველა დაჯაბნა, რბოლაზე კი თითქოს სათქმელიც არაფერი ჩანდა, კიმი უახლოეს მდევარ ალონსოს ნახევარ წუთს უგებდა, მაგრამ ბედმა ესპანელს გაუმართლა.

და მიხაელი... რაღა ვთქვათ, „წითელი ბარონის“ ფანებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი კერპი პოდიუმზე მაინც შედგებოდა, მაგრამ ვაი საწყალი „ფერარი“, მესამე ადგილისთვის ჯენსონ ბატონისგან გასწრების შემდეგ რევანშის მცდელობის ნაცვლად, შუმის ბოლო წრეზე ბავშვურად აუარა გვერდი ჯანკარლო ფიზიკელამ.

ქება ხუანს და ჯენსონს. როგორი საქმეა, მონტიმ კვალიფიკაციისას ავარიის შემდეგ ძრავის გამოცვლის გამო რბოლა ბოლო რიგიდან დაიწყო და პოდიუმზე მეორე შედგა. რაც შეეხება ბატონს, მან იგივე, სამოტორო პრობლემების მიზეზით შარშან პოდიუმი დაკარგა, ამჯერად კი „ჰოკენჰაიმრინგზე“ პირველად შედგა კვარცხლბეკზე.

სათაური არ მოგწონთ? დათვალეთ ქულები და დარჩენილი ეტაპების რაოდენობა. გასათამაშებელია 70 ქულა, ნანდო კი კიმის 36-ით უსწრებს, ხოლო თვით მიხაელს — 40 ქულით.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

გერმანიის დიდი პრიზი 24 ივლისი. ჰოკენჰაიმი

დისტანცია 67 წრე — 306,458 კმ

1.	(3)	ალონსო (რენო)	1.26.28,6 (212,6 კმ/სთ)
2.	(19)	მონტოია (მაკლარენი)	ჩამორჩა 22,6
3.	(2)	ბატონი (B.A.R)	24,4
4.	(4)	ფიზიკელა (რენო)	50,6
5.	(5)	მ.შუმახერი (ფერარი)	51,7
6.	(12)	რ.შუმახერი (ტოიოტა)	52,2
7.	(11)	კულჰარდი (რედ ბული)	52,7
8.	(13)	მასა (ზაუბერი)	56,6
9.	(10)	კლიენი (რედ ბული)	1.09,8
10.	(15)	ბარიკელო (ფერარი)	1 წრით
11.	(7)	ჰაიდფელდი (უილიამსი)	1 წრით
12.	(8)	სატო (B.A.R)	1 წრით
13.	(16)	ალბერსი (მინარდი)	2 წრით
14.	(9)	ტრული (ტოიოტა)	3 წრით
15.	(14)	ვილნევი (ზაუბერი)	3 წრით
16.	(20)	კარტიკეიანი (ჯორდანი)	3 წრით
17.	(18)	მონტეირო (ჯორდანი)	3 წრით
18.	(17)	დორნბოსი (მინარდი)	4 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(6)	ვებერი (უილიამსი)	გაიარა 55 წრე
(1)	რაიკონენი (მაკლარენი)	35

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული

რაიკონენი — 1.14,320 (221,6 კმ/სთ)

საუკეთესო წრე

რაიკონენი — 1.14,873 (219,9 კმ/სთ)

	ბაჰრეინი 6 მარტი	მალაიზია 20 მარტი	ბაჰრეინი 3 აპრილი	სან მარინო 24 აპრილი	ესპანეთი 8 მაისი	მონაკო 22 მაისი	ევროპა 29 მაისი	კანადა 12 ივნისი	აშშ 19 ივნისი	საფრანგეთი 3 ივლისი	დიდ ბრიტანეთი 10 ივლისი	გერმანია 24 ივლისი	უნგრეთი 31 ივლისი	თურქეთი 21 აგვისტო	იტალია 4 სექტემბერი	बელგია 11 სექტემბერი	ბრაზილია 25 სექტემბერი	იაპონია 9 ოქტომბერი	ჩინეთი 16 ოქტომბერი	ჯამი
1 ალონსო რენო, ესპანეთი	6	10	10	10	8	5	10	–	–	10	8	10								87
2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი	1	–	6	–	10	10	–	10	–	8	6	–								51
3 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია	–	2	–	8	–	2	4	8	10	6	3	4								47
4 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია	3	5	–	–	2	4	2	–	–	–	10	8								34
5 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია	8	–	–	–	–	1	6	6	8	–	2	–								31
6 ტრული ტოიოტა, იტალია	–	8	8	4	6	–	1	–	–	4	–	–								31
7 ფიზიკელა რენო, იტალია	10	–	–	–	4	–	3	–	–	3	5	5								30
8 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია	–	4	5	–	5	3	–	3	–	2	1	3								26
9 ჰაიდფელდი უილიამსი, გერმანია	–	6	–	3	–	8	8	–	–	–	–	–								25
10 ვებერი უილიამსი, ავსტრალია	4	–	3	2	3	6	–	4	–	–	–	–								22
კულჰარდი — 19, ბატონი — 15, მასა — 8, მონტეირო, ვურცი, ვილნევი — 6, კარტიკეიანი — 5, დე ლა როსა, ალბერსი, კლიენი — 4, ფრიზაბერი — 3, ლიუკი —1 ქულა																				
1 რენო	16	10	10	10	12	5	13	–	–	13	13	15								117
2 მაკლარენი	4	5	10	6	12	14	2	10	–	8	16	8								95
3 ფერარი	8	2	–	8	–	3	10	14	18	6	5	4								78
4 ტოიოტა	–	12	13	4	11	3	1	3	–	6	1	3								57
5 უილიამსი	4	6	3	5	3	14	8	4	–	–	–	–								47
რედ ბული — 24, BAR — 15, ზაუბერი — 14, ჯორდანი — 11, მინარდი — 7 ქულა																				

ნადალის რვეული
სავსე ჭულებით და ფრიადებით

რაფაელ ნადალი

MERCEDES CUP
შტუტგარტი. თიხნარი
590 ათასი €

მეოთხედფინალი

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) 6:2 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო** (2, რუსეთი) — **ტომაშ ბერდიხი** (11, ჩეხეთი) 6:4 6:2; **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) 6:4 1:6 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — **ანდრეას სეპი** (იტალია) 6:2 6:3

ნახევარფინალი

ნადალი — **ნიემინენი** 6:2 7:5; **გაუდიო** — **დავიდენკო** 6:3 2:1 (**დავიდენკომ შეწყვიტა**)

ფინალი

ნადალი — **გაუდიო** 6:3 6:3 6:4

გასტონ გაუდიოს გუშინდელი ძლევით რაფაელ ნადალმა ერთბაშად ძალიან ბევრი რამ გააკეთა.

ერთი, რომ ზედიზედ 34-ე თიხნარმატჩი მოიგო, რითაც ღია პირველობათა ეპოქაში თიხნარზე ზედიზედ გალაღებულთა ჩამონათვალში მე-6 საფეხური დაიკავა გილერმო ვილასის (53), ბიორნ ბორგის (46), ტომას მუსტერისა (40 და 38) და ილიე ნასტასეს (36) შემდეგ.

მეორე, რომ წლეულს უკვე მერვე ტიტული მიითვალა და ამ მაჩვენებლით ამქარში აქამდე ერთპიროვნულად მოლიდერე როჯერ ფედერერს გაუტოლდა. თანაც ნურც იმას დაივიწყებთ, რომ 19 წლის ფასკუნჯმა ეს რვავე თავის სათაულფე, თიხნარსაფარზე მოიმკა.

მესამე და მეოთხე კი ის გახლავთ, რომ ამ მოგებით იგი 12-თვიან მცოცავ რეიტინგსიაში მეორე ადგილზე მდგომ ლეიტონ ჰიუიტს ჩაეროქა, ხოლო ჩემპიონთა რბოლაში იმდენი ქულა მოაქუჩა, რომ უკვე წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა მასტერსთასზე გამოსვლის უფლებაც მიიღო, რაიც აქამდე მხოლოდ იმავ ფედერერს დაეკვეხნოდა.

სხვათა შორის, ასე უწლოვანს სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე 1993 წლის ანუ ანდრეი მედვედევის მერე აღარავის ეთამაშა.

დავსძენთ იმასაც, რომ ამ უღონიერესმა და ლამის ფედერერზე მეტად მოუწყვლელმა ვუნდერკაციამ მთელი ტურნირი ისე განვლო, რომ მეტოქეთათვის ქეციანი სეტიც არ დაუთმია. გამარჯვებულისთვის დათქმული 82 ათასი დოლარიცა და „მერსედეს ბენცის“ თაზა სპორტული მანქანაც — ჰალალ მისი!

„ამქარში მისი დამარცხება ახლა არავის ჩოგანეწიფება“ — ამბობდა ნაფინალევს გაუდიო, ვისაც თავად წლეულს ოთხი თიხნარტიტული მოუნაგრავს და ამ საფარზე მხოლოდ ნადალზე უარესად გარჯილა.

მაგრამ გაუდიოს საამსეზონო ნაღვაწზე არანაკლებ საგულისხმო, ვინძლო, მის მიერ წარმოთქმული სიტყვები იყოს.

დიახ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჭაბუკს თვით ფედერერზე უფრო მყარი ფსიქიკა აქვს და ამდენი გამარჯვებით — ქულები და ტუგრიკები იქით იყოს — სულაც ისეთი ამოუწყავი მენტალური ილაჯი დაიგროვა, უახლოეს მომავალში მისგან კიდევ არა ერთ ზორბა წარმატებას მოველით. ეგ მით უფრო, რომ მან ჯერ კიდევ მაიამობაზევე ცხადყო (სადაც ფინალამდე მიატანა), მაგარსაფარზეც ისეთივე სახიფათო რომ არის, როგორც მშობლიურ თიხნარზე.

RCA CHAMPIOSHIPS
ინდიანაპოლისი.
მაგარსაფარი. 575 ათასი $

მეოთხედფინალი

როგი ჯინეპრი (აშშ) — **ენდი როდიკი** (1, აშშ) 4:6 7:6 (7:2) 7:5; **გრეგ რუზეიკი** (7, ბრიტანეთი) — **ნიკოლას კიფერი** (2, გერმანია) 3:6 7:6 (7:4) 6:4; **ტაილორ დენტი** (4, აშშ) — **პოლ გოლდშტაინი** (აშშ) 6:3 6:2; **ჯარულ ბეკი** (10, სლოვაკეთი) — **ჯორჯ ბასტლი** (შვეიცარია) 6:4 7:5

ნახევარფინალი

დენტი — **რუზეიკი** 6:4 6:4; **ჯინეპრი** — **ბეკი** 5:7 6:2 6:3

ტურნირის შარშანდელი და შარშანწინდელი ჩემპიონის, ენდი როდიკის 12-მატჩიან წაუგებელ ინდიანაპოლისურ სერიას ჩოგანი მის მიერ ყრმობიდან გვემულმა თვისტომმა რობი ჯინეპრიმ დაუსვა.

თუკი ეიტიპიმდე მათ შორის ნათამაშებ შეხვედრებს არ გავითვალისწინებთ, საკუთრივ საეიტიპიო დონეზე მათ აქამდე ექვსჯერ ებურთავათ და ექვსჯერვე ენდიბოის მოეგო.

ჰოდა, ჯინეპრისთვის ამ ნავსის გატეხვა მით უფრო ტკბილი უნდა ყოფილიყო, რომ ეს როდიკისთვის ერთობ წარმატებულ ტურნირზე მოახერხა და თანაც — სამი მატჩბურთის მოგერიების მერე!

დიახ, ამ მატჩში ენდიბოი სამჯერ იდგა ნახევარფინალის მიჯნასთან, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა ვერ იქნა და ვერ განახორციელა.

ნამატჩევს კი ამერიკელთა ამჟამინდელი ყოჩი ძირითადად კალენდრის გადატვირთულობაზე საუბრობდა და დასძენდა, წინა ორი წლის განმავლობაში ასეთ შლეგურ რიტმს კი გავუძელი, მაგრამ წლეულს უკვე მაგრად მოქანცული ვარო.

ამის გამო მან რამდენიმე კვირით დასვენება გადაწყვიტა და მომდევნო კვირაში რომ ლოსანჯელესობა გვექნება, იქ მის მაგივრად პირველჩოგანს ტურნირის სამგზის ჩემპიონი ანდრე აგასი გაქნევს.

რაც შეეხება ჯინეპრის, მან თავის პირველ საამსეზონო ნახევარფინალშიც იღბლიანად ითამაშა და გუშგვიან კარიერის მეორე ტიტულის მოსახვეჭად ოთხგზის ტიტულოსან თვისტომ ტაილორ დენტს უნდა რკენოდა, რომელიც თავის მხრივ იოლად გასცდა ტურნირის 2002 წლის ჩემპიონ გრეგ რუზეიკის.

შეგახსენებთ, რომ ეს იქნება პირველი შიდაამერიკული საეიტიპიო ფინალი 2004 წლის თებერვლიდან და პირველი შიდაამერიკულივე ინდიანაპოლისური ფინალი პიტ სამპრასისა და ჯიმ კურიეს 1992 წლის სატიტულო შეხლის მერე.

THE PRIORITY TELECOM OPEN
ამერსფორტი. თიხნარი
302 ათასი €

მეოთხედფინალი

ივო მინარი (ჩეხეთი) — **მარიანო პუერტა** (1, არგენტინა) 6:2 5:7 7:6 (7:4); **ფერნანდო გონსალესი** (2, ჩილე) — **დანიელე ბრაჩალი** (იტალია) 6:3 6:3; **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — **ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) 6:3 4:6 6:3; **აგუსტინ კალიერი** (არგენტინა) — **მელე ვან გემერდენი** (ჰოლანდია) 6:4 6:4

ნახევარფინალი

გონსალესი — **სანჩესი** 6:2 6:1; **კალიერი** — **მინარი** 6:4 6:4

ფინალი

გონსალესი — **კალიერი** 7:5 6:3

უიმბლდონის წლევანდელმა მეოთხედფინალისტმა და საკუთრივ ამერსფორტობის შარშანდელმა ფინალისტმა ფერნანდო გონსალესმა თანაკონტინენტელ აგუსტინ კალიერის ძლევით კარიერის მეექვსე, ხოლო სეზონის მეორე ტიტული იშოვა. შეგახსენებთ, რომ მან წლეულს ადრეიანვარში, ოკლენდურ მაგარსაფარზეც იმარჯვა.

WESTERN AND SOUTHERN FINANCIAL GROUP WOMEN'S OPEN
ცინცინატი. მაგარსაფარი.
170 ათასი $

ნახევარფინალი

პატი შნიდერი (1, შვეიცარია) — **ბეთანი მატეკი** (აშშ) 6:4 6:1; **აკიკო მორიგამი** (იაპონია) — **დანიელა ჰანტუხოვა** (4, სლოვაკეთი) 6:4 6:4

ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-19 ეტაპი. 22 ივლისი. ისიორი — ალპ-ჰუეზ. 153,5 კმ

1 ჯუზეპე უერინი (იტალია, ტი-მობაილი)	3 სთ, 38 წთ, 2 წმ
2 სანდი კასარი (საფრანგეთი, ფრანჩეზ დე ჟუ)	+10 წმ
3 ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკვიგას-ბიანკი)	ერთიგივე დრო

მე-20 ეტაპი. 23 ივლისი. სენტ-ეტიენი. 55 კმ

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი)	1 სთ, 11 წთ, 46 წმ
2 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი)	+23 წმ
3 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტი-მობაილი)	+1 წთ, 16 წმ
4 ბობი ჯულიჩი (აშშ, CSC)	+1 წთ, 33 წმ
5 ივან ბასო (იტალია, CSC)	+1 წთ, 54 წმ
9 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+2 წთ, 51 წმ
77 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	+7 წთ, 47 წმ

21-ე ეტაპი. 24 ივლისი. კორბეილ-ესონე — შანზ ელიზე. 144 კმ

1 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტი-მობაილი)	3 სთ, 40 წთ, 57 წმ
2 ბრედლი მაკგი (ავსტრალია, ფრანჩეზ დე ჟუ)	
3 ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, ფასა ბორტოლო)	ორივე იგივე დრო

საბოლოო საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი)	86 სთ, 15 წთ, 2 წმ
2 ივან ბასო (იტალია, CSC)	+4 წთ, 40 წმ
3 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი)	+6 წთ, 21 წმ
4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+9 წთ, 59 წმ
5 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტი-მობაილი)	+11 წთ, 1 წმ
7 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	+11 წთ, 33 წმ

ლენს არმსტრონგის მეშვიდე და ბოლო გაელვება

ივან ბასო და ლენს არმსტრონგი

AFP ჯონ ზიდან

კვირას დამთავრდა პროფესიონალ ველომბრბოლთა ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება „ტურ დე ფრანსი“. ეს ასპარეზობა მეშვიდედ მოიგო ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა, რაც აბსოლუტური რეკორდია.

ამ ველორბოლის ბოლო ეტაპი ყაზახეთის წარმომადგენელმა ალექსანდრ ვინოკუროვმა მოიგო, რომელმაც ფინიშზე ავსტრალიელ ბრედ მაკგის გადაასწრო.

„ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულად ჯერ კიდევ შეჯიბრების ოფიციალურ დასრულებამდე აღიარეს ლენს არმსტრონგი, რაკიღა ორგანიზატორები უამინდობის გამო იძულებულნი გახდნენ პარიზში გადამწყვეტი რბოლა შეეწყვიტათ. ამ დროისთვის ამერიკელ ველომბრბოლსა და მის უახლოეს მდევრებს შორის განსხვავება დაახლოებით ხუთი წუთი იყო.

ბოლო რბოლა არმსტრონგმა, ისე როგორც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მრავალჯერ, ლიდერის ყვითელი მაისურით დაიწყო. პარიზის ქუჩებში არმსტრონგი უკვე შამპანურით სავსე ბოკალით მიჰქროდა.

„ტურ დე ფრანსის“ ამ რბოლის შემდეგ არმსტრონგს დიდი სპორტიდან წასვლა ჰქონდა განზრახული და თავის გადაწყვეტილებას იგი არ ღალატობს.

არმსტრონგის გამარჯვება განსაკუთრებით მათ ახარებთ, ვინც აქტიურად ებრძვის კიბოს.

საქმე ისაა, რომ „ტურ დე ფრანსში“ თავის პირველ გამარჯვებამდე სულ რაღაც წელიწადნახევრით ადრე არმსტრონგმა კიბო დაამარცხა.

რბოლის ბევრმა მონაწილემ და გულშემატკივარმა საგანგებო ყვითელი სამაჯურები გაიკეთა წარწერით „LIVESTRONG“. ამით მათ სპორტსმენის მიმართ, რომელმაც საშინელ სენს სძლია და უთვალსაჩინოეს წარმატებებს მიაღწია ველოსიპედისტთა ერთ-ერთ ყველაზე რთულ შეჯიბრებაში, მხარდაჭერა და პატივისცემა გამოხატეს. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან არმსტრონგმა ჩამოაყალიბა ფონდი, რომელიც კიბოს წინააღმდეგ მებრძოლთ ეხმარება.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ არაერთხელ გაისმოდა განცხადებები იმის თაობაზე, თითქოს არმსტრონგს გამარჯვებაში დოპინგი ეხმარებაო, მაგრამ მრავალრიცხოვანმა ტესტებმა სპორტსმენი ვერ ამხილეს აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში.

„ყველას უნდა იცოდეს, თუ რაზე ვზივარ. ყველაფერი ძალიან მარტივადაა, ყოველდღიურად ექვსი საათის განმავლობაში ჩემს ველოსიპედზე ვზივარ“ — ამბობდა არმსტრონგი სარეკლამო რგოლში, რომელიც 2000 წელს გადაიღეს.

„ტურ დე ფრანსის“ ბოლო ეტაპი, რომელიც 144,5 კმ-ზე იყო გაჭიმული, საკმაოდ რთული გამოდგა. სველ გზაზე რამდენიმე ველომბრბოლი დავარდა. წაქცევასთან ახლოს იყო თვით არმსტრონგიც, მაგრამ კრიტიკულ მომენტში მან დამუხრუჭება მოასწრო.

როცა ველომბრბოლთა ძირითადი მასა პარიზში შევიდა, ორგანიზატორებმა, უამინდობის გამო რბოლის შეწყვეტის თაობაზე თავიანთი გადაწყვეტილება გამოაცხადეს.

და შეწყვიტეს კიდეც-

ავთანდილ ბუკვიშელი

მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი

დაგამეგობრებთ ამდენი ოქრო

ჰოლანდიელი ქალთევზა და რუსი დედოფლები



ედიტ ვან დიკი

მართალია, ჯერ არც აუზში მოცურავეებს და არც წყალბურთელებს გაურკვევიათ რჩეულნი, მაგრამ მონრეალში მსოფლიოს ჩემპიონატი მაინც გვარიანი წარმატებით მიდგაფუნობს და უკვე ეკვატორიც გადაცურა.

მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა უგრძეს დისტანციებზე ღია წყალში მოცურავეთათვის. შაბათს ეს სახეობა მარათონულ დისტანციაზე, 25 კილომეტრზე მოცურავეებმა ამოწურეს. საზოგადოდ ცურვა „ახალგაზრდული“ სპორტია, 25 წლის სპორტსმენები ლამის ვეტერნებად ითვლებიან, მაგრამ გამონაკლისი ხომ ყველგან და ყველაფერში გამოერევა და შაბათსაც ისე მოხდა, 25 კილომეტრზე კაცებშიც და ქალებშიც 31-31 წლისებმა იჩემპიონეს — შესაბამისად, დავიდ მეკამ და ედიტ ვან დიკმა. ჰოლანდიელი ქალთევზა ვან დივისვის ეს მესამე მედალი იყო მონრეალში — 5 კილომეტრზე ბრინჯაოს მან 10 და ახლა უკვე 25 კილომეტრზეც წყვილი ოქრო მოაყოლა. თუმცა უმაღლესი სინჯის ჯილდო მანამდეც, კერძოდ კი 2003 წლის ბარსელონას ჩემპიონატზეც ჩამოუკიდია ძალუმ კისერზე, ახლა სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა — ეს ჩემპიონატი ჩემთვის არა მხოლოდ უკანასკნელია, არამედ ულაპარაკოდ საუკეთესოც გახლავთო. 3 დისციპლინაში სამი მედალი მართლაც მშვენიერი შედეგია, თანაც სახეობათა სიძნელის გათვალისწინებაც მეტი პატივისცემით განგვაწყობს ჰოლანდიელი ქალბატონის მიმართ, მან ხომ შვიდ დღეში 40 კილომეტრი მოიტოვა და რვა საათზე მეტი ხელების ქნევაში გაატარა.

განსაკუთრებით დრამატული გამოდგა ედიტას მესამე, 25-კილომეტრიანი გაცურვა, რომელსაც თავად ჩემპიონი, ასე ვთქვათ, „ცხელს“ უწოდებს. დიდი ტაქტიკური ბრძოლა გაიმართა ათეულობით გოგონას შორის. ვისაც კი რაიმე პრეტენზია და შნო ჰქონდა, თავიდანვე გაიჭრა და 5-კილომეტრიანი ნიშნულის გავლის შემდეგ 3 მედლის 9 პრეტენდენტი გამოიკვეთა. დაწინაურებულები შეკრულ ჯგუფად მიიწევდნენ წინ. ამ ჯგუფში კარგა ხანს, ასე 10 კილომეტრის მანძილზე ლიდერობდნენ რუსი გოგონები ნადია პანკინა და ალესია შალიგინა. ისინი მაინცდამაინც არ უფრთხილდებოდნენ ძალებს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება, დიდი ინტერვალით მოწყვეტილიყვნენ დანარჩენებს, თუმც სხვებიც არ იყვნენ ჯაბანნი და ორიოდ მეტრის იქით აღარ გაუშვიათ რუსები.

დაახლოებით 15-კილომეტრიან ნიშნულთან დაწინაურდა ედიტ ვან დიკი, თუმც მომავალ ჩემპიონს ორიოდ კილომეტრში გადაასწრო სრულიად მოულოდნელად ჯგუფის კუდიდან თავში მოქცეულმა ავსტრალიელმა ტრუდი ჰატჩინსონმა. ავსტრალიელს მალე გამოელია ღონე და რამდენიმე კილომეტრი ისევ რუსმა პანკინამ ილიდერა, თუმცა-ღა მას უკვე ველარ მიჰყვა მეორე რუსგოგო შალიგინა. ლიდერს კარგა ხანი სდია მანამდეც სულ მოწინავეებში მცურავმა გერმანელმა ბრიტა კამრაუმ. ამ გოგოს აშკარად ეტყობოდა თავდაზოგვა, ჩანდა, გალიდერება არაერთხელ შეეძლო, თუმც ძალები ბოლო კილომეტრისთვის შემოინახა, ისევე როგორც ვან დიკმა.

მაგრამ ეს კატათაგვობანა არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ბოლო ნახევარ კილომეტრზე გაჩაღდა ვან დიკსა და კამრაუს შორის. ორივენი მხარდამხარ მიცურავდნენ და ფინიშიც ასე ერთად გადაკვეთეს. თავდაპირველად არაოფიციალურმა „ხმებმა“ ჩემპიონად კამრაუ გამოაცხადეს, თუმც ფოტოფინიშის ნახვის შემდეგ გერმანელს ოქრო ახსნეს კისრიდან და ჰოლანდიელს ჩამოჰკიდეს.

ზევითაც მოგახსენეთ, ვან დიკისთვის ეს მსოფლიოს პირველობა ბოლოა-მეთქი. ასევე ბოლოა კაცებს შორის გაჩემპიონებულ, ესპანელ დავიდ მეკასთვისაც, ეგაა, მეკა ედიტასავით ტიტულიანი ვერაა. ყოველთვის ფავორიტებში ერია, თუმც პენსიაზე გასვლამდე ასე ბარაქიანად ვერ ხვეტა ოქროვერცხლი. ახლა კი მან ორი მსოფლიოს ჩემპიონი ჩამოიტოვა — რუსი იური კუდინოვი და ავსტრალიელი ბრენდან კაპელი. ამ უკანასკნელმა მონრეალშიც ყოჩაღად იქნია მკლავები და 2,2 წამით ჩამორჩა მეკას, რაც ვერცხლით დაუფასდა.

რაც შეეხება კუდინოვს, იგი უმეტლოდ დარჩა, ბრინჯაო კი ბულგარელ პეტერ სტოიჩევს შეხვდა.

მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა სინქრონულად მოცურავეთათვისაც, ამ სფეროში კი დედოფლები რუსები გახლავან. 23 ივლისს, შაბათს, მათ გუნდური თავისუფალი ვარჯიში მოიგეს, თან შესამჩნევი უპირატესობით — 10 მსაჯიდან ექვსს 10-ქულიანი, ანუ უმაღლესი შეფასება „დასტყუეს“, ხოლო დანარჩენ ოთხს — 9,9 ქულიანი.

რუსებმა იჩემპიონეს ერთი დღით ადრე „თავისუფალ დუეტშიც“. ანასტასია დავიდოვა და ანასტასია ერმაკოვა 2002 წლიდან ყველა ტურნირს იგებენ, რომელშიც კი მონაწილეობენ და მონრეალში გამარჯვების შემდეგ თავზარი დასცეს სინქრონულად მოცურავე მსოფლიოს — 2008 წლამდე, ანუ, პეკინის ოლიმპიადამდე ასე ვიქნებით, არსადაც არ ვაპირებთ წასვლასო.

„მაქსიმალურად ვეცდებით, რაც შეიძლება, მეტი საერთაშორისო ოქრო მოვიპოვოთ“ — ამბობს ერმაკოვა, თან ისეთი ტონით, კაცი იფიქრებს, ბოდიშს იხდის, ის და მისი დაქალი სულ ოქროს რომ იხვეჭენ და სხვებს უნციას არ უტოვებენო.

ანასტასია დავიდოვა და ანასტასია ერმაკოვა

თითქმის ჭორწინენ წყალში მხტომელებმა 22-23 ივლისს. ალვაკებმა მადლობის თიოლი ემპიტექტა გათამაშეს და 24 ივლისისთვის კიდევ თითო მოიტოვეს.

ამგვარად, კვირიდან ბურთი და მოედანი მოცურავეებს და წყალბურთელებს დარჩებათ.

ჩინელმა წყალში მხტომელებმა ამ პარასკევ-შაბათს რამდენადმე აღიდგინეს ამ დღეებში შელახული რეპუტაცია. 22 ივლისს გუო ძინგძინგმა და მინ ხია ვუმ სხვა ყველა მიივწყეს და ერთმანეთს გაუმართეს ჩემპიონობისთვის დავა. ძინგძინგმა იმარჯვა, ვუს კი ვერცხლი შეხვდა. ერთი დღის შემდეგ ჩინელმა ჭაბუკმა ჰუ ძიამ წყალში ხტომის ალბათ ყველაზე პოპულარული დისციპლინა, 10-მეტრიანი კოშკი დაიპყრო.

კოტე ყორშია

22-23 ივლისი

ღია წყალი

ქალები 25 კმ

1 ედიტ ვან დიკი (ჰოლანდია)	5:25.6,6
2 ბრიტა კამრაუ (გერმანია)	5:25.6,9
3 ლაურა ლა პიანა (იტალია)	5:25.11,5

კაცები 25 კმ

1 დავიდ მეკა (ესპანეთი)	5:00.21,4
2 ბრენდან კაპელი (ავსტრალ.)	5:00.23,6
3 პეტარ სტოიჩევი (ბულგ.)	5:00.28,4

სინქრონული ცურვა

თავისუფალი გუნდური ვარჯიში

1 რუსეთი	99.667
2 ესპანეთი	98.500
3 იაპონია	97.833

თავისუფალი დუეტი

1 რუსეთი (ანასტასია დავიდოვა, ანასტასია ერმაკოვა)	99.667
2 ესპანეთი (ხემა მენგუალი, პაოლა ტირადოსი)	98.167
3 იაპონია (საჰო ჰარადა, ემიკო სუძუკი)	98.000

წყალში ხტომა

ქალები 3 მ ტრამპლინი

1 გუო ძინგძინგი (ჩინეთი)	645.54
2 ვუ მინ ხია (ჩინეთი)	619.05
3 ტანია კანოტო (იტალია)	591.27

კაცები 10 მ კოშკი

1 ჰუ ძია (ჩინეთი)	698.01
2 ხოსე გუერა ოლივა (კუბა)	691.14
3 გლებ გალპერინი (რუსეთი)	656.19

წყალბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპი

III ტური

A ჯგუფი

რუსეთი 8:7 ესპანეთი

იტალია 15:4 ს. აფრიკა

რუსეთი	3	0	0	+6	6
ესპანეთი	2	0	1	+8	4
იტალია	1	0	2	+8	2
ს. აფრიკა	0	0	3	-22	0

B ჯგუფი

კუბა 9:8 იაპონია

სერბეთი 8:4 აშშ

სერბეთი	3	0	0	+36	6
აშშ	2	0	1	+6	4
კუბა	1	0	2	-26	2
იაპონია	0	0	3	-16	0

C ჯგუფი

უნგრეთი 10:4 ხორვატია

რუმინეთი 10:2 კანადა

უნგრეთი	3	0	0	+22	6
ხორვატია	2	0	1	+11	4
რუმინეთი	1	0	2	-4	2
კანადა	0	0	3	-29	0

D ჯგუფი

გერმანია 11:6 ჩინეთი

საბერძნეთი 10:8 ავსტრალია

საბერძნეთი	3	0	0	+13	6
გერმანია	2	0	1	+2	4
ავსტრალია	1	0	2	+2	2
ჩინეთი	0	0	3	-17	0

ისტორია ლონდონში შეიქმნა

სერგეი ბუბკა ელენა ისინბაევას მისი რეკორდის დამხობას უსურვებს

შეჯიბრებას, სადაც ეს ამბავი მოხდა, სრულად „ნორვიჩ იუნიონ ლონდონ გრან პრი“, მოკლედ კი ლონდონის გრან პრი ჰქვია და წლეულს ის მლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე ჩატარდა. სწორედ იქ დაამყარა ფენომენალურმა რუსის ქალმა, ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ მორიგი მსოფლიოს, რეკორდი — ქალთა მოდგმის ისტორიაში პირველი გადაევლო ხუთმეტრიან თამასას.

უნდა ითქვას, რომ ამ შედეგს ელოდნენ. ელოდა არა მარტო თავად სპორტსმენი, არამედ მძლეოსნობაში ჩახედული საზოგადოებაც. მეტიც, ელოდნენ, რომ ისინბაევა ერთ საღამოში ერთბაშად ხუთი სანტიმეტრით გაუუმჯობესებდა წინა შედეგს, რაც მისი რეკორდების ხანაში — ეს ხანა კი 2003 წლის ივლისში დაიწყო — ყველაზე დიდი მატება იქნებოდა.

გავიხსენოთ: პირველი რეკორდი ელენა ისინბაევამ ორი წლის წინათ გეიტშედში დაამყარა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როდესაც ჯერ 4.90-იც კი არ ჰქონდა გადალახული, განაცხადა, რომ ისტორიაში დიდი ფურცლის ჩაწერა ჰქონდა განზრახული.

ახლა, ლონდონური ტრიუმფის დასრულებისთანავე მოწყობილ პრესკონფერენციაზე კი 23 წლის რეკორდსმენმა ბრძანა:

„ჩემი დიდი ხნის ოცნებაც სწორედ ეს იყო. მინდოდა გავმხდარიყავი პირველი ქალი, რომელიც ხუთმეტრიან თამასას გადაევლებოდა. დღეს ჩემი გრძნობებისა და განცდების აღწერა ძალიან მიჭირს... მიყვარს ლონდონში ასპარეზობა, აქაური სტადიონი და ჩინებული გულშემატკივარი... სულ მეკითხებიან, რა სიმაღლეზე შევძლებ გადახტომას, რა იქნება ჩემი ზღვარი. არ ვიცი, შესაძლოა ეს 5.05 მეტრი იყოს, შესაძლოა მეტიც.“

დიახ, ისინბაევა ხუთ მეტრს გადაევლო და ქალთა შორის პირველი აფრინდა ასე მაღლა, მაგრამ ამან კინაღამ გადაგვავიწყა, რომ პარასკევის ლონდონურ საღამოს ვოლგოგრადელმა მძლეოსანმა ერთი კი არა, ზედიზედ ორი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

„კრისტალ პალასის“ სტადიონზე შეკრებილი 18 ათასი გულშემატკივრის წინაშე მან შეჯიბრება 4.70 მეტრიდან დაიწყო, „სასაცილო“ სიმაღლეს, ბუნებრივია, იოლად გადაევლო, შემდეგ თამასა 4.80 მეტრამდე ააწევინა, ეს სიმაღლეც იოლად დაძლია და.. უეცრად 4.96 შეუკვეთა. ეს უკვე მსოფლიოს რეკორზე იერიშს ნიშნავდა.

4.96 პირველ ორ ცდაზე გაუურჩდა ისინბაევას, მესამეზე კი დამორჩილდა — ამრიგად, რუსმა იმ დღის პირველი რეკორდი დაამყარა.

საინტერესოა, რომ ამ მომენტისთვის პოლონელ ჭოკით მხტომელს, ანა როგოვსკას ეროვნული რეკორდი, 4.80 ჰქონდა დამყარებული და ამით ფრთაშესხმულმა ისინბაევას გამოდევნება გადაწყვიტა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

და აი, ამის მერე შეუკვეთა ისინბაევამ ჭოკით მხტომელ ქალთათვის სრულიად ჯადოსნური სიმაღლე, 5 მეტრი, რომელსაც ისევ დაევლო, ოღონდ ამის ეთქმის მისთვის ჩვეულზე ჩვეული ამბავი ყოფილიყო.

ამ შედეგის შემყურე „კრისტალ პალასის“ სტადიონი ოვაციად გადაიქცა. აღფრთოვანებას ვერ მალავდა თვით ლეგენდარული უკრაინელი სერგეი ბუბკა, რომელიც 35-გზის გახლდათ ჭოკით ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენი.

მოგეხსენებათ, ისინბაევა სწორედ მის ამ ფენომენალურ შედეგს ექვდნება და მიზნად თავის რეკორდთა რაოდენობის ოცდათექვსმეტამდე გაზრდა აქვს დასახული.

ელენა ისინბაევა: „როდესაც 4.96-ის დასაძლევად ვემზადებოდი, საკუთარ თავს ვუთხარი, თუ ამ სიმაღლეს გადაევლები, უეჭველად ხუთ მეტრსაც დღესვე დავძლევ-მეთქი. როგორც ხედავთ, მე ეს შევძელი!“

და ახლა პრემიაზე ვთქვათ — ლონდონური გმირობისთვის რუსმა მძლეოსანმა 50 000 ამერიკული დოლარი მიითვალა.

სერგეი ბუბკა: „ელენა ისინბაევა უნიკალური სპორტსმენია. ის გააკეთებს ყველაფერს, რასაც მოისურვებს, რადგან რეკორდებს ისევე ამხობს, თავის დროზე მე რომ ვამხობდი. შემიძლია გადაუჭარბებლად განვაცხადო, რომ დღეს მძლეოსნობის ისტორიაში დიდი დღეა, ხოლო რაც შეეხება ისინბაევას, ეჭვი არ მეპარება, ამაზე მეტიც შეუძლია. და მაინც, ყველაფერზე მეტად მე მას ჩემი რეკორდის დამხობას ვუსურვებ.“

ტუტა სიხარულიძე

თორმეტგზის ბრაზილია და სხვაც ცოტა



ანდრეს სილვა

ერივალდო და კრუზ ვიეირა

მოდი, უკულმა მოვიქცეთ — კოლუმბიაში, ზღვის დონიდან 995 მეტრზე მდებარე კალიში მიმდინარე სამხრეთ ამერიკის 43-ე ჩემპიონატზე საუბარი მეორე დღით დავიწყოთ და აღვნიშნოთ, რომ ის ძირითადად ბრაზილიელებისა გამოდგა — ამ დღეს თექვსმეტმა ფინალმა უწია, რომელთაგან თორმეტში ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს.

საუკეთესო შედეგი 25 წლის ერივალდო და კრუზ ვიეირამ შესთავაზა საზოგადოებას. მან სიგრძეზე ხტომაში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა — 7.15 მეტრი (ქარის სიჩქარე — 0.3 მეტრი წამში) გადაევლო და ამას წინათ მოგებულ „ტროფეუ ბრაზილს“ ახალი ოქროს მედალი დაამატა.

200 მეტრზე რბენა დიდი არაფერი სანახაობა გამოდგა, რადგან ქარმა მძლეოსანთა საპირისპირო მიმართულებით გადაწყვიტა ქროლვა. 32 წლის ანდრე დომინგუშ და სილვა კი ქარზე დაჟინებული ვინმე გამოდგა და მეროედ გახდა თავისი კონტინენტის ჩემპიონი — 20.33 წამი. (ქარი-4.9 მეტრი წამში). იმავ და სილვამ 4X100 მეტრზე ესტაფეტითაც შეიმატა კიდევ ერთი ოქრო.

ასევე მეორე ოქრო მიიღო 31 წლის მორბენალმა ქალმა ლუსიმარ დე ურამ — 200 მეტრი 22.98 წამში. მისი საჩემპიონო გარბენის დროს ქარის სიჩქარე 5 მეტრი წამში გახლდათ.

არაბრაზილიურ ამბავთა შორის კი კოლუმბიელ ქალთა 4X100 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვება უნდა გამოვყოთ. ნებისმიერი სახის რბენაში ტრადიციულად ძლიერმა კოლუმბიელმა გოგოებმა ამჯერად სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატთა საუკეთესო შედეგს, 43, 17 წამს მიაღწიეს.

ახლა კი უკულმართთა წესის შესაბამისად პირველ დღეზე გადავიდეთ და აღვნიშნოთ, რომ მისი საუკეთესო შედეგი 19 წლის ურუგვაელის, ანდრეს სილვას მიერ 45.38 წამში გარბენილ 400 მეტრს ეწოდა.

საინტერესოა, რომ ეს სამხრეთ ამერიკელ ახალგაზრდათა რეკორდია. დავძინოთ, რომ ეს ურუგვაელი ყმაწვილი მრავალმხრივ ნიჭიერი მძლეოსანი გახლავთ. ორი წლის წინ მან ოქტატლონში მსოფლიოს ახალგაზრდათა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. წლეულს იგი სხვადასხვა შეჯიბრებაზე ათჭიდსა და 400 მეტრ თარჯრბენში აპირებს გამოსვლას.

შთამბეჭდავი შედეგი ჰქონდა 31 წლის ეკვადორელ სპორტული სიარულის მსოფლიოს რეკორდსმენ ჯეფერსონ პერესს, რომელმაც 20 კილომეტრი ამჯერად სამხრეთ ამერიკის პირველობისთვის საუკეთესო დროში, 1:22.54,4 საათში გაიარა.

21 წლის კოლუმბიელმა სიმაღლეზე მხტომელმა ქალმა კატერინ იბარგენმა კი 1.93 მეტრის სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია და გარდა იმისა, რომ ჩემპიონი გახდა, დაამყარა როგორც ჩემპიონატის, ასევე ეროვნული რეკორდი.

ტუტა სიხარულიძე

ისტორიის 90 წუთი

ბეტმენმა და გუდენაუმ ერთმანეთს ხელი გაუწოდეს

როგორც იქნა, 22 ივლისს ოფიციალურად დასრულდა ნჰლ-ის ლოკაუტი და ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ჰოკეი დაგვიბრუნდა. ლიგის კლუბები შაბათსვე შეუდგნენ ჩემპიონატისთვის მზადებას, რომელიც 5 ოქტომბერს დაიწყება. ასე რომ, კიდევ ორნახევარი თვე და ჰოკეის ქომაგის გული კვლავ აძგერდება!



ნჰლ-მა სულ რაღაც 90 წუთში გადაუსვა ხაზი წვალებას, ბრძოლასა და ომობანას, რომელიც ლამის ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და მსოფლიოს ამცნო, რომ შედგა კოლექტიური შეთანხმება, ჰოკეის უძლიერემა ლიგამ დაძლია თავისი ისტორიის უმძიმესი ეტაპი.

„როცა ჩვენი ლიგის ისტორიას ვიხსენებ და ბოლო ათი წლის წინანდელ წარსულს ვუბრუნდები, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ 21 ივლისი ცენტრალური და მთავარი დღეა ნჰლ-ის ისტორიაში. ეს ის დროა, როდესაც ჩვენ წინსვლას ვიწყებთ და შეგვიძლია ისეთი ნჰლ გვქონდეს, როგორსაც ვნატრობთ. ეს ყველაზე ნაყოფიერი მომენტია ჩვენი ორგანიზაციისთვის“ — თქვა საგანგებო პრესკონფერენციაზე ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა.

რა გასაკვირია, რომ ნჰლ-ის მთავარი მოხელე საახალწლო ნაძვის ხესავით ბრწყინავდა. მან ხომ მაინც მიაღწია თავისას და განახორციელა ის გეგმა, რომელიც ერთი წლის წინ შეიმუშავა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბეტძენმა პირწმინდად მოიგო ეს სალოკაუტო ომი. ისედაც გასაგებია, რომ ლიგის მიერ 22 ივლისს ახალი კოლექტიური შეთანხმების რატიფიკაცია ძველი საბჭოური ყრილობების სტილში გაიმართა. ნჰლ-ის 30 კლუბის მფლობელმა ერთხმად დაუჭირა მხარი ხელშეკრულებას.

ბეტმენმა პრესკონფერენციაზე ხელშეკრულების მთავარ პუნქტებზე ილაპარაკა და უნდა ითქვას, რომ შეთანხმებაში პრაქტიკულად მთლიანად აისახა ის, რაც უკვე არაერთხელ დაიწერა, მაგრამ რაკი ეს უკვე ოფიციალური დოკუმენტია, მაინც გთავაზობთ მის დეტალებს:

ხელშეკრულება ექვსი წლით დაიდო;

კლუბების ხელფასების მაქსიმალური ზღვარი ამიერიდან 39 მილიონ დოლარს, ხოლო მინიმალური 21,5 მილიონს შეადგენს;

მოთამაშეთა ჯამური ხელფასი არ შეიძლება აღემატებოდეს კლუბის შემოსავლების 54 პროცენტს. თუ მომდევნო სეზონში ლიგის საერთო შემოსავალი 2,7 მილიარდს მიაღწევს, მაშინ ეს პროცენტი მომდევნო სეზონში 57 პროცენტამდე გაიზრდება;

ერთი ჰოკეისტის ჯამაგირი არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანი ბუიჯეტის 20 პროცენტს, ანუ დამდეგ სეზონში ვერც ერთი მოთამაშე ვერ მიიღებს 7,4 მილიონზე მეტს;

ყველა ჰოკეისტის ხელფასი 24 პროცენტით შემცირდება. 2004-05 წლების სეზონის ყველა კონტრაქტი გაუქმებულია.

2006-07 წლების სეზონიდან თავისუფალი აგენტების ასაკი 31-დან 29 წლამდე შემცირდა, ხოლო მომდევნო ორ სეზონში შესაბამისად 28 და 27 წელს შეადგენს.

ასე რომ, უკვე ასეთი ასაკიდან ნებისმიერ ჰოკეისტს მიეცემა საშუალება თავად განსაზღვროს თავისი ბედი (ანალიტიკოსების აზრით, ეს პროფკავშირის მთავარი წარმატებაა მოლაპარაკებაში);

ახალბედების მაქსიმალური ხელფასი 850 000-ს შეადგენს, ხოლო 2011 წლამდე ის 925 000-მდე გაიზრდება;

მინიმალური ჯამაგირი 450 000-ს შეადგენს და ხელშეკრულების მოქმედების ბოლო ორ წელიწადს ის 500 000-მდე გაიზრდება;

ამიერიდან არა მარტო ჰოკეისტს, არამედ კლუბსაც შეუძლია, მიმართოს არბიტრაჟს. ასე რომ, თუ ადრე მოთამაშეებს მფლობელებზე ზეწოლის ბერკეტი ჰქონდათ, ახლა უკვე თავად ბოსებს შეუძლიათ, მოითხოვონ ჯამაგირის შემცირება, თუ ჰოკეისტი არ გაამართლებს იმედებს (ზოგის აზრით, ეს ყველაზე მძიმე დარტყმაა მოთამაშეების პოზიციებზე);

30 ივლისს ოტავაში დრაფტი გაიმართება, რომელიც წინამორბედებისგან განსხვავებით არა 9, არამედ 7 რაუნდისგან შედგება;

ნჰლ-ის მოთამაშეები 2006 წლის ტურნირის და 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

აი, ასეთია ახალი შეთანხმების მთავარი პრინციპები. გნებავთ, ლიგის ტრიუმფი უწოდეთ, გნებავთ — მოთამაშეთა ტყვეობაში ჩავარდნა. ფაქტი ფაქტია, მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ლიგა ასეთი წესებით იარსებებს.

ამრიგად, ლოკაუტი ოფიციალურად 22 ივლისს დასრულდა, მაგრამ მისი ბედი პრაქტიკულად ერთი დღით ადრე გადაწყდა, როდესაც ნჰლ-მა ახალი ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ის, რომ ლიგის კლუბების ბოსები ერთხმად დაუჭერდნენ მხარს შეთანხმებას, ისედაც ცხადი იყო, პროფკავშირის რიგებში კი ერთსულოვნება არ იქნებოდა.

ხუთშაბათს, ტორონტოში მხოლოდ 200-მდე ჰოკეისტი შეიკრიბა მაშინ, როდესაც მინიმუმ პროფკავშირის ნახევარს ელოდნენ (შეგახსენებთ, რომ ასოციაციაში 800-მდე მოთამაშე შედის). ცხადია, უმრავლესობას ამერიკელები წარმოადგენდნენ და უნდა ითქვას, რომ მათ დიდ ნაწილს სულაც არ ეტყობოდა სიხარული. უმრავლესობის კომენტარების ტონი ასეთი იყო: დოკუმენტი იდეალური არ არის, ძალიან ბევრს ვკარგავთ, მაგრამ გამოსავალი არ ჩანს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავუბრუნდეთ სამუშაოს.

როგორც ხმათა მიცემის მომდევნო პროცედურამ აჩვენა, უკმაყოფილოთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. 532 განცხადებიდან (ჰოკეისტებს ინტერნეტის მეშვეობითაც შეეძლოთ ამ პროცედურის ჩატარება) 68 წინააღმდეგი აღმოჩნდა, 464 კი თანახმა, რამაც პროფკავშირის წარმომადგენელთა 50 პროცენტზე მეტი შეადგინა.

ასე რომ, სასწაული არ მოხდა და ჰოკეისტებმა, ცხადია, გულისტკივილით, მაგრამ მაინც მოიწონეს ახალი დოკუმენტი და თავიანთი გადაწყვეტილებით ნათლად დაგვიდასტურეს, რომ მათ თამაში სურთ.

მომდევნო დღეს პრესკონფერენციაზე ბეტმენი საკმაოდ ლაკონური გახლდათ. მან მიღწევებით კი არ მოიწონა თავი, მთელი დრო სიახლეებს დაუთმო და საზოგადოებას ახალი წესების თაობაზეც ამცნო.

ცხადია, რომ ლიგის კომისიონერი პირველ რიგში ქომაგების წახალისებას ცდილობდა, „იანკებს“ საერთოდ არ უყვართ ფრე სპორტში, ამიტომაც მომდევნო სეზონიდან ყველა თამაშის ბედი ოვერტაიმისშემდგომ ბულიტების სერიაში გაირკვევა.

გაუქმებულია „წითელი ხაზიც“ და ამიერიდან ჰოკეი ერთობ სწრაფი გახდება, ვინაიდან მაღალი ტექნიკის მქონე მცველებს და პლეიმეიკერებს საშუალება მიეცემათ, გრძელი პასით სწრაფი გარღვევა მოამზადონ, შესაბამისად მოედნის შუაგულში „ბოკსგები“ და „ბრ ბრძოლა“ ნაკლებად იქნება. ასევე შეიცვალა ოფსაიდის ინფორმაციაც. ამიერიდან ნჰლ-ის ჰოკეისტებს უფრო ტრეტიაკს და დრაიდენს დაემსგავსებიან, ხოლო ზოგი მეკარის „ლეიბები“ ისტორიას ჩაბარდება.

კიდევ უფრო გაძლიერდება ბრძოლა წესების დამრღვევთა წინააღმდეგ. ბეტმენის თქმით, „მცირე გოლის“ მოყვარულთ მძიმე დღეები ელით.

ახლა კი დრაფტის ლატარიაზე, რომელიც უშუალოდ პრესკონფერენციის შემდეგ გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს დრაფტზე უნიჭიერესი სიდნი კროსბი გაიდის და უეჭველად სწორედ ის გახდება პირველი ნომერი. ალბათ სიმბოლურია, რომ ლატარიის შედეგად ეს ნანატრი პირველობა წილად ხვდა მარიო ლემიეს „პიტსბურგს“. ამრიგად, თავის პირველ სეზონს სიდნი „სუპერმარიოს“ გვერდით გაატარებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ წინ საოცრებები გველის. ცხადია, ლატარიაში გამარჯვებამ „პიტსბურგის“ წარმომადგენლები მეცხრე ცაზე აიყვანა.

„ვერც კი წარმოიდგენთ, რა მოხარული და ბედნიერი ვარ. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს კვლავ 1984 წელი დაბრუნდა, როცა ჩვენ მარიო ავირჩიეთ. ეს მართლაც ფანტასტიკაა“ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა კენ სიერმა, თავად კროსბიც არანაკლებ გახარებული ჩანდა. თქვა, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ პიტსბურგში მარიო ლემიესთან ვითამაშებთ: რაც შეეხება თავად ლემიეს, ის ლატარიას არ ესწრებოდა, მაგრამ კლუბის საიტზე მისი ინტერვიუ დაიბეჭდა.

„სიდნი არაჩვეულებრივი მოთამაშეა, ბრწყინვალე მეგოლე და მეპასე. რაც მთავარია, იგი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში წნეხის ქვეშ იმყოფება და ჩინებულად იცის, როგორ უნდა იქცეოდეს ასეთი საყოველთაო ყურადღების პირობებში“ — თქვა დიადმა მარიომ.

ნიშანდობლივია, რომ 5 ოქტომბერს, ჩემპიონატის დაწყების დღეს, ლემიეს 40 წელი უსრულდება და სწორედ ამ თარიღს დაემთხვევა მისი მემკვიდრის დებიუტი. ამას მხოლოდ იმასღა დავუმატებთ, რომ მეორე და მესამე ადგილები წილად „ანაჰაიმს“ და „კაროლინას“ ხვდათ.

ამრიგად, ლიგა აღსდგა და ამოქმედდა. შაბათიდანვე კლუბების გენერალურ მენეჯერებს და მოთამაშეთა აგენტებს უამრავი სამუშაო გამოუჩნდათ. ასეთი დატვირთული და დაძაბული ზაფხული მათ არასდროს ჰქონიათ.

23 ივლისიდან 31 ივლისამდე კლუბებმა უნდა გამოისყიდონ ყველა არსებული კონტრაქტი, ახალი კონტრაქტები შესთავაზონ ჰოკეისტებს და მათ შორის შეზღუდულ და შეუზღუდავ თავისუფალ აგენტებს. 30 ივლისს დრაფტია, 1 აგვისტოდან დაიწყება კონტრაქტების გაფორმების პერიოდი და 22 აგვისტოს გაიმართება საკამათო კონტრაქტების პირველი განხილვა. საბოლოოდ ყველა საკითხი 2 სექტემბრისთვის უნდა გადაწყდეს. შემდეგ საწვრთნელი ბანაკები და... 5 ოქტომბერს ვიწყებთ!



მომავალი დრაფტის №1 ლოტი: სიდნი კროსბი

საბველ ღარიბიანი

ექვსი ერის თასი. საკვალიფიკაციო მატჩი

23 ივლისი. თბილისი. „ეროვნული“. 15 000 მაყურებელი

საქართველო 44:12 სერბეთი

გიორგი ასათიანი, ზვიად კობერიძე, სანდრო გილაური, გიორგი კობერიძე, დავით ჟამუტაშვილი, კახა ალანია (კაპ), ბიძინა სამხარაძე, დავით გასვიანი, ნოდარ (ნონო) ანდღულაძე, ზვიად მაისურაძე, ნიკა მხეიძე, ლექსო გუგავა, კახა კობახიძე (ვიცე-კაპ)
სათადარიგოები: ოთარ ელოშვილი, გიორგი ხოსიტაშვილი, ფრიდონ უდესიანი, ედიშერ ჯამრულიძე
მწვრთნელები: ვინ ვები, რიჩარდ ალე, ირაკლი კეკელიძე

8 ლელო: გილაური (2), ანდღულაძე, გასვიანი, სამხარაძე, ზ. კობერიძე, გუგავა, მხეიძე
6 გარდასახვა: კობახიძე

ვლადიმერ რადულოვიჩი, მილოშ კოვაჩი, დალიბორ ვუკანოვიჩი, მარკო ჟებელიანი, მარკო მლადენოვიჩი, იოვან ვუჯოშევიჩი, რადოსლავ ნოვაკოვიჩი, მარკო იანკოვიჩი (კაპ), ზორან პეშიჩი, ჯორჯე კოსტიჩი, დარკო ნერანჯიჩი, ნემანია პოპსოგოროვიჩი, შონი რადოვანოვიჩი
სათადარიგოები: მატეი გრანიჩი, მილან ჯორჯევიჩი, ნემანია ჯორჯევიჩი, ივან სუშნიარა
მწვრთნელი: იონ რისმანი

2 ლელო: პოპსოგოროვიჩი, პეშიჩი
2 გარდასახვა: ვუკანოვიჩი

ქართული ივლისის ცამეტკაცა სერბოკვერცხი

„ძალიან რთული თამაში გველის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის წინაშე. ვიცით რომ საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში უპირველესი სარაგბო ქვეყანაა. ესეც არ იყოს, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლია. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების მონდომების იმედი მაქვს და მჯერა, მეტოქეს უბრძოლველად არ დავნებდებით“. — თბილისში გამომგზავრებამდე თქვა სერბეთის ცამეტკაცა რაგბის ნაკრების კაპიტანმა მარკო იანკოვიჩმა.

გუშინ ეროვნულ სტადიონზე მისი სიტყვები ასი პროცენტით გამართლდა. ხალხი მართლაც ბლომად იყო. დაახლოებით 15 ათასმა გულშემატკივარმა თავი დასავლეთ ტრიბუნაზე მოიყარა და ახალი, ტრადიციული რაგბისგან განსხვავებული თამაში იხილა.

სერბთა დანაკლისზე ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ გუნდი მართლაც ახალგაზრდული გახლდათ. მათი ზოგიერთი შეცდომა გამოუცდელობის ბრალი რომ იყო, ერთი შეხედვითაც ჩანდა. თამაში რომ ისეთი ადვილი არ იყო, როგორსაც მოველოდით, ესეც სერბის წინასწარმეტყველების დასტურად მივიჩნიოთ და ბოლოს, ჩვენებურებს რომ დაღლა დაეტყოთ და სტუმრებმა სხვაობის შემცირება შეძლეს, სწორედაც რომ მათ ახალგაზრდულ ჟინს უნდა მივაწეროთ.

კარგი თამაშის წინ შ.ოუც კარგი გვაჩუქეს ორგანიზატორებმა. „სუხიშვილების“ მიერ ცოცხლად დაკრულ იმპროვიზებულ ფოლკლორს ერთიმეორეზე უკეთესად გატანილ ლელოებზე ნაკლები სიამოვნება არ მოუტანია.

გუნდები გასახდელიდან ხორუმის რიტმზე გამოვიდნენ და აღმოსავლეთ ტრიბუნებს ფოიერვერკის ჩანჩქერი ჩამოეფინა.

ჰიმნების შემდეგ ქართული საბრძოლო ფერხული ანუ ჰაკაც შეასრულეს ჩვენებურებმა და მეტოქის რბევას მიჰყვეს ხელი.

ქართველებმა პირველ ტაიმში სტუმრებს 5 ლელო გაუტანეს, განსაკუთრებით ლამაზი კი აქედან ორი გახლდათ. მეცხრე წუთზე ნოდო ანდღულაძემ მოედნის ცენტრიდან მეტოქის ჩათვლის მოედანზე სოლო-რეიდის შემდეგ შეინავარდა, ოცდამეთორმეტე წუთზე კი მარცხენა ფრთაზე გაჭრილმა ჟამუტაშვილმა რამდენიმე სერბს არ დაანება ბურთი, ცრუმოძრაობებით ჩამოიტოვა და ზედ ჩათვლის ხაზთან მეტოქის მიერ შეპყრობილმა უკან მოისროლა ბურთი, მას ბიძინა სამხარაძე დაეუფლა და სულ მთლად დაბნეული სერბების ჩათვლის მოედანს უწია.

ტაიმი 26:0 დამთავრდა. მატჩის განახლების შემდეგ კი „13 ქართველს“ დაღლა დაეტყო. 44-ე და 49-ე წუთებზე ისევ მასპინძლებმა იხეირეს, თუმცა შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და ორი ლელოს დადება შეძლეს.

ერთი საყურადღებო ფაქტი — სერბები, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ვაუკაცურად და შემართებით თამაშობდნენ, გატანილი ლელოს შემდეგ მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა. ნუთუ გულშემატკივრობა ვისწავლეთ?

მატჩს დავუბრუნდეთ. მას შემდეგ, რაც ანგარიში 38:12 გახდა, თამაშის ტემპმა იკლო, თითქოს ცოტათი ეშხიც მოაკლდათ მორაგბეთა ბურთაობას, თუმცა ქართველებმა ერთი გარდასახული ლელოს წყალობით კიდევ 6 ქულა მიითვალეს. მათთვის ვინც არ იცის — 13-კაცაში ლელო ოთხქულიანია.

ინგლისელი მსაჯის, პოლ კარის სასტვენმა ქართველებს შეტევაში მოუსწრო და 44:12 აღარ შეცვლილა.

მსაჯი ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ ორ თანაშემწესთან ერთად ინგლისელი საქართველოში დარჩება და ქართველ მსაჯებს სემინარებს ჩაუტარებს.

მატჩის შემდგომ საქართველოს ნაკრებმა აწ გარდაცვლილი მორაგბის, არჩილ კობახიძის სახელობის თასიც ასწია და ნაკრების მწვრთნელები, ინგლისელი ვინ ვები და სამოელი რიჩარდ ალეც ჰაერშიც აბურთავა.

„გამარჯვებას გულოცავთ ქართველ გულშემატკივარს. შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა თამაშის ხარისხი უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მოთამაშეების დაღლილობა გუნდის მაღალი საშუალო ასაკით აიხსნება. ექვს ერზე საფრანგეთს და რუსეთს ვხვდებით. ორივე თამაში შემოდგომაზეა და რადგანაც ამ ორი შეხვედრიდან ერთის მოგებას მაინც ვგეგმავთ, გუნდის გადახალისებას და ახალგაზრდა რეზერვის გამოყენებას ვეცდებით“ — ნაკრების კიდევ ერთი მწვრთნელის, ირაკლი კეკელიძის ამ სიტყვებით კი ჩვენი სტატია დავასრულოთ.

ლადო ფულუკიძე
ბადრი კეთილაძის *ფოტოები*



ᲣᲚᲠᲘᲮᲘᲡ ᲓᲐᲗᲣᲩᲐ

AFP ი ზორ ლებუნიდან



AFP ი ზორ ლებუნიდან

საფრანგეთი რომ მდიდარია ისტორიული ძეგლებით, განა ამას მტკიცება უნდა! ტურ დე ფრანსის ველომრბოლები მთელ საფრანგეთს შემოივლიან და გზად ხან რომელ ღირსშესანიშნაობას ჰკიდებენ თვალს და ხან რომელს. აი, ასე, პიზასავით დახრილი ჯვარი აღმართულა იზორ-ლებუნის გზაზე, რომელიც მეტურეებმა პარასკევს განვლეს. ეს ტურის მე-19 ეტაპი გახლდათ და ასეთი საყვარელი თილისმის მიუხედავად ის მაინც ვერ მოიგო იან ულრიხმა. ფუმფულა დათუჩას ულრიხის ველოს წყლის მათარებს შორის დაუვანებია, ფინიშის ხაზი კი პირველმა გუურენიმ გადაკვეთა.

AFP ბორნეოლოდან

ᲩᲔᲚᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ

წყალჯიმარდობის მსოფლიოს ჩემპიონატი უძახე და, მონრეალის აუზიც შეიღება წითლად. ამერიკელ წყალში მხტომელ ჩელსი დევისს გვარიანად გაუმართლა, თორემ სპორტის ამ სახეობას არაერთი ტრაგიკული ნახტომიც ახსოვს. ერთ ფოტოზე ის მომენტია დაფიქსირებული, ჩელსიმ სახტომს ცხვირ-პირი რომ ჩამოარტყა, ხოლო მეორეზე მწვრთნელ-მედიკოსები მის ნუგეშისცემას ცდილობენ.

AFP სან პატრიანოდან

AFP ბორნეოლოდან

ᲛᲘᲰᲥᲠᲘᲡ, ᲛᲘᲐᲤᲠᲔᲜᲡ...

სან პატრიანოში მხედართა ევროჩემპიონატი მიმდინარეობს და ამ თეთრ მერანზე გაწოლილი მარკუს ენინგიც წარმატებით გადაევლო მორიგ ბარიერს. ზიზილ-პიპილოებიან ბედაურს კი ჯიტანია ჰქვია.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲠᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

�გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ზომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@gol.ge ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.sarbieli.com.ge